გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N31(9282) | 12 ნოემბერი. 2018 წელი | ფასი 50 თეთრი

ადგილობრივი ბიზნესის განვითარება სახელმწიფო პროგრამების დახმარებით 2

ახალი ფრაქცია წინასაარჩევნოდ 3

ამ გზას ბორნამდე მივყავართ 5

ინცინდენტი საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში

ორპოლუსიანი არჩევნები _ სალომე ზურაბიშვილი თუ გრიგოლ ვაშაძე? 4

5 არაპოლიტიკური თხოვნა

სახელოვანი კი არა, ერთი უბრალო კაცის გზა გავიარე... 6

“იმდენი გაიღო სამშობლოსთვის, ათ კაცს რომ ეყოფა”

შემოდგომის და იუბილეს ორიგინალური მილოცვა ამ ნობათით მიიღო 88 წლის “სამტრედიის მაცნემ” ერთგული და აქტიური მკითხველის, გალაქტიონ (გოგიტა) გიორგაძისგან.

ადგილობრივი ბიზნესის განვითარება სახელმწიფო პროგრამების დახმარებით

ნინო ნანიტაშვილი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის _ ''საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'' _ ფარგლებში, რომლის ერთ-ერთი აქტივობა სამტრედიაში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრისა და ორგანიზაცია ''რეგიონული განვითარების რესურსცენტრის'' მიერაა ინიცირებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში 9 ნოემბერს გაიმართა. პროექტის ხელმძღვანელმა, სოფიო კირთაძემ შეხვედრაზე დაწვრილებით ისაუბრა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამაზე, რომლის ფარგლებში არაერთი პროექტი ხორციელდება ადგილობრივ დონეზე. აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტიდან მოწვეულმა ლექტორმა ეკა ლეჟავამ ისაუბრა, თუ რა პოტენციალი გააჩნია სამტრედიის მუნიციპალიტეტს და როგორ შეიძლება ჩაერთოს მოსახლეობა ევროკავშირის მიერ ინიცირებულ გამოწვევებში.

პროექტი ვანისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში 2 თვეა, რაც მიმდინარეობს. ბოლო შეხვედრა 9 ნოემბერს გაიმართა, რომელმაც შეაჯამა პროექტი. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება პროექტის ''საქართველო ევროპულ გზაზე: DGFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'' _ ფარგლებში მიღებული ქვეგრანტით. პროექტი ''საქართველოს ევროპულ გზაზე: DGFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'', ''აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის (EESC, ლიტვა) ხელმძღვანელობით, საქართველოს ''ბიზნეს პოლიტიკის ინსტიტუტთან'' (GIP, საქართველო), ''გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტთან'' (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ''ინტელექტთან'' (საქართველო),''ათინათსა'' (საქართველო) და ასოციაცია ''კავკასიის გენეტიკასთან'' (საქართველო) ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების კონსორციუმის მიერ ხორციელდება.

სოფიო კირთაძე, პროექტის ხელმძღვანელი: ''პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვანისა და სამტრედიის მოსახლეობისთვის. შეხვედრებს ესწრებოდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე საჯარო მოხელეები და აქტიური მოქალაქეები. მათ ჩვენგან მიიღეს ინფორმაცია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ, რომელშიც შესაძლებელია, თავადაც მიიღონ მონაწილეობა, დაიწყონ ან გააფართოონ არსებული ბიზნესი. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების დაინტერესება პროექტის ფარგლებში იყო და ჩვენი ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში კვლავ გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს''.

"რეგიონის განვითარება ჩვენი მომავლისთვის"

ნინო ნანიტაშვილი

''რეგიონალური განვითარების რესურსცენტრის'' ინიციატივით და სამტრედიის მერიის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, სამტრედიისა და ვანის მუნიციპალიტეტებში ''რეგიონის განვითარება ჩვენი მომავლისთვის'' პროექტის ფარგლებში მედიატური მოეწყო.

ვანის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის _ ''საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'' _ ფარგლებში მიღებული ქვეგრანტით დაფინანსებული მცირე საწარმოები მოინახულეს ჟურნალისტებმა.

რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყების მსურველთათვის შექმნილი პროექტების ფარგლებში ვანში სხვადასხვა ტიპის საწარმოები დაათვალიერეს. მეგზურმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელმა, ვანო სანადირაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო და ევროკავშირის სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ვანში 20 კოოპერატივია დაფინანსებული. მედიატური სწორედ სახელმწიფოს მიერ წილობრივად დაფინანსებულ კოოპერატივებსა და საწარმოებში შედგა. აგროწარმოების ხელშეწყობის ფარგლებში მთისძირში მცხოვრები ქეთევან თომეიშვილი სასათბურე მეურნეობასთან ერთად მეღორეობის ბიზნესს აწარმოებს. მეწარმეს სეზონურად 200 ტონა კიტრი მოჰყავს, იმ სახელმწიფო პროგრამაზე კმაყოფილებით საუბრობს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოდან 40 პროცენტიანი დაფინანსება მიიღო. მეწარმე სეზონზე 20-მდე ადგილობრივს ასაქმებს, რომელთა საშუალო ხელფასი 300-დან 500 ლარამდე მერყეობს.

ლაშა ალანია სასათბურე მეურნეობა ''სპარტაკის'' გამგეობის თავმჯდომარეა. სხვადასხვა ბოსტნეულ კულტურებთან ერთად ამერიკული ჯიშის მარწყვის, ''სანანდრიასის'' მოსავალს ამჟამადაც კრეფს და ადგილობრივ ბაზარს ამარაგებს. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აგროწარმოების ხელშეწყობის ფარგლებში 920 ათასი ლარის საპროექტო ღირებულების პროექტიდან 312 ათასი ლარი დაუფინანსდა. უახლოეს დღეებში ჭყვიშში სასათბურე მეურნეობის პრეზენტაციას და წარმოების გაფართოებას აანონსებს.

კოოპერატივი ''თაფლი საჩინო'' თაფლის მინი გადამმუშავებელი საწარმოა. იგი ვანსა და ბაღდათში არსებულ რამდენიმე კოოპერატივს აერთიანებს და ევროკავშირის ბაზრისთვის ერთგვაროვანი თაფლის წარმოებაზეა ორიენტირებული. როგორც საწარმოს ხელმძღვანელი, ზვიად სანიკიძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, საწარმოს დღიურად 4 ტონა თაფლის გადამუშავების პოტენციალი გააჩნია. საჭირო ტექნიკით აღჭურვილი საწარმო თანადაფინანსების და სხვადასხვა სახის პროექტებით სრული დატვირთვით იმუშავებს.

''ქართული დაფნა'', რომელსაც ტარიელ ხურციძე უდგას სათავეში და ვანის სოფელ ბზვანში მდებარეობს, 45 ადგილობრივს ხელფასის სახით 350-400 ლარამდე უხდის. სერტიფიცირებულ და ტექნიკურად გამართულ საწარმოში გადამუშავებული ქართული დაფნა ევროპისა და სხვა ქვეყნების ბაზარზე უკვე გამოჩნდა. საწარმო 2016 წელს შეიქმნა და კიდევ მეტ გაფართოებას გეგმავს.

განსაკუთრებული აღმოჩნდა მედიატურისთვის ზღვის დონიდან 550 მეტრზე მდებარე ვანის სოფელი ფერეთა. ვახტანგ მერკვილიშვილი შპს ''ფერეთა ჩაის'' სათავეში უდგას და წლების მანძილზე გავერანებულ ჩაის პლანტაციებს, თანამოაზრეებთან ერთად, სიცოცხლეს უბრუნებს. იდეის ირგვლივ, რომელიც 2014 წლიდან გაუჩნდა, სოფელში მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის მერის წარმომადგენელი ფერეთაში, ბექა ლაჭყებიანი, შემოიერიბა და ბიოპროდუქტის წარმოება დაგეგმა. პლანტაციების რეაბილიტაცია სახელმწიფო პროგრამის, ''ქართული ჩაის'' ფარგლებში მიმდინარეობს და 19 ჰექტარი ფართობის აღდგენაზეა გათვლილი. ტერიტორია უკვე შეიღობა და ამ ეტაპზე რიგთაშორისების სარეველებისაგან გაწმენდა მიმდინარეობს. 30 წლის მიტოვებული მეურნეობის აღდგენა, ფაქტობრივად, გმირობის ტოლფასია. მომავალში ჩაის მინი ქარხნის შექმნას გეგმავენ და პარალელურად ფერეთას ტყემლისა და აჯიკის მომხმარებლამდე მიტანასაც ახერხებენ. ამბობენ, რომ ბებიას რეცეპტით შეკმაზული საწებლები აუცილებლად უნდა გახდეს პოპულარული.

აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება პროექტის _ ''საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'' _ ფარგლებში მიღებული ქვეგრანტით. პროექტი ''საქართველოს ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა'', ''აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის'' (EESC, ლიტვა) ხელმძღვანელობით, საქართველოს ''ბიზნეს პოლიტიკის ინსტიტუტთან'' (GIP, საქართველო), ''გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტთან'' (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ''ინტელექტთან'' (საქართველო),''ათინათსა'' (საქართველო) და ასოციაცია ''კავკასიის გენეტიკასთან'' (საქართველო) ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების კონსორციუმის მიერ ხორციელდება.

ახალი ფრაქცია წინასაარჩევნოდ

თეა ბაბუნაშვილი

"ჩვენი სამტრედია" მოგებულ საპრეზიდენტო არჩევნებს მივუძღვენითო, ოპოზიციის ამ ღიმილიან რეპლიკას, უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის ღიმილიანი "შეორე ტურში სალომე პრეზიდენტია" მოჰყვა. ამგვარი ღიმილები საკრებულოს ბოლო სხდომაზე, ბოლო საკითხად ახალი ფრაქციის შექმნის გამოტანას მოჰყვა. იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში ცვლილების თაობაზე აუწყა საკრებულოს წევრებს. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და "ევროპული საქართველოს" წარმომადგენლებით შექმნილი ფრაქცია "ჩემი სამტრედია" ამიერიდან, როგორც მისი წევრები აცხადებენ, სამტრედიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იშრომებს.

ფრაქციას ავთანდილ თადუმაძე უხელმძღვანელებს, წევრები კი ავთანდილ სტურუა და ალექსანდრე ჯვარშეიშვილი იქნებიან. "ფრაქციის შექმნა, მოგეხსენებათ, მხოლოდ საკრებულოს წევრებს შეუძლიათ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი, თუნდაც, სხვადასხვა პარტიებს წარმოადგენდნენ. მისი შექმნის მთავარი პირობაა, რომ სამი წევრისგან მაინც უნდა შედგებოდეს. "ევროპული საქართველოდან" მხოლოდ მე და ბატონი ალექსანდრე გახლავართ საკრებულოში წარმოდგენილი. ამიტომ "ნაციონალური მოძრაობის" ბლოკში შემავალ ქრისტიან-კონსერვატორული მოძრაობის სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარე ავთანდილ თადუმაძესთან ერთად შევქმენით ფრაქცია, სახელწოდებით "ჩვენი სამტრედია". ფრაქციის წევრობა საშუალებას აძლევს საკრებულოს წევრს, იმაზე გაცილებით აქტიურად იყოს ჩართული საკრებულოს მუშაობაში, ვიდრე ჩვეულებრივ." _ ამბობს ავთანდილ სტურუა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა ორი წევრით წარმოდგენილ "ევროპულ საქართველოს", მესამე კაცის ძიებაში "ნაციონალურ მოძრაობასთან" მოლაპარაკებების შედეგად კონსესუსს მიაღწიეს და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ფრაქცია შექმნეს. სხვა დეტალების გარდა, უკვე გაერთიანებული ოპოზიციის "ძალა ერთობაშია" ბლოკში შესული "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", და კიდევ ერთი ოპოზიციური ძალა "ევროპული საქართველო", ადგილობრივი საკრებულოს გამოკლებულ წევრთან დაკავშირებითაც მართავდნენ მოლაპარაკებებს. თავდაპირველად ავთანდილ სტურუა თავად აპირებდა ე. წ. "ნახალოვკის" მიმართულებაზე კანდიდატურის დაყენებას, მაგრამ შემდეგ აკაკი მინაშვილის კანდიდატურას მისმა პოლიტიკურმა ძალამაც დაუჭირა მხარი. როგორც, ავთანდილ სტურუა ამბობს, "ამან განაპირობა კიდეც "ნაციონალური მოძრაობის წევრის, აკაკი მინაშვილის, უპირობო გამარჯვება."

იგივე პათოსი აქვს ფრაქციის თავმჯდომარე ავთანდილ თადუმაძესაც, თავის დროზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბლოკში ქრისტიან-კონსერვატორული მოძრაობის" სახელით რომ გახლდათ გაერთიანებული. "ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საღათას ძილით გვძინავს. ფრაქცია შეიქმნა იმისთვის, რომ ქვეყნის ინტერესებია დასაცავი, იმისთვის, რომ ამგვარი პოლიტიკური კურსი, ასეთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, 90-იან წლებშიც არ ჰქონია ქვეყანას. თუნდაც ის ფაქტი, რომ ოკუპანტებმა 30 ჰექტარი ქართული მიწა მიითვისეს და არავინ გამოხმაურებია მათ, განაპირობებს მსგავსი ფრაქციების შექმნას. ჩვენი ფრაქციაც იმისთვის შეიქმნა, საკუთარი სიტყვა ვთქვათ ამ და მსგავსი ფაქტების ასალაგმად". კითხვაზე, რამდენად მისწვდება მათი სიტყვა და კომპეტენცია იმ პრობლემებს, რომლებზეც საუბრობდა, ავთანდილ თადუმაძე პასუხობს _ "ხმას მივაწვდენთ იქამდე, სადამდეც შევძლებთ"! გარდა ამისა, ფრაქცია სამტრედიაში არსებული პრობლემების მოგვარებაზეც იმუშავებს. მისი თავმჯდომარის განცხადებით, "არსებობს არაერთი პრობლემა, რომელსაც სწორედ ოპოზიციური სპექტრის ჩარევით თუ ეშველება."

ჩვენი გაზეთის ფურცლებმა სამტრედიაში "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი და "ევროპული საქართველოს" ახლანდელი თავმჯდომარის, ავთანდილ სტურუასა და "ნაციონალური მოძრაობის" დღევანდელი თავმჯდომარის, ემზარ შუბლაძის მწვავე პოლემიკა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიტია. როგორც ორივე მხარე ამბობს, ამჯერად წყენა ქვეყნის უკეთეს მომავალზე ზრუნვის გამო დაივიწყეს. ჩვენს შორის გარკვეული დაპირისპირება იყო, არ უარვყოფ, მაგრამ როცა სასწორზე ქვეყნის ბედი იდება, ყველა კინკლაობაზე თვალი უნდა დახუჭო!" _ ამბობს ავთანდილ სტურუა. იგივეს იმეორებს ემზარ შუბლაძეც: "ჩემი პასუხი ბატონი ავთოს ღია წერილმა გამოიწვია. დიახ, ეს წარსულში იყო და ახლა ამის ქექვის დრო არ არის, მით უმეტეს, ახლანდელი პოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე!"

მართალია, ზოგადად პოლიტიკაში, მით უფრო, ქართულში და კიდევ მით უფრო, სამტრედიულში მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ, მაგრამ თავის დროზე "ნაციონალებზე" გაბრაზებული ავთანდილ სტურუა "ახალ ევროპელებს" რომ შეეკედლა, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ფუძის მქონე ამ ორი პარტიის გაყოფისთანავე საჭირო დროს მათ საეჭვო ალიანსზე იმთავითვე მასობრივად საუბრობდნენ, სამტრედიული რეალობიდან გამომდინარე ამ ორი პოლიტიკური ფიგურის ასე ადვილ შერიგებას ცოტა თუ ფიქრობდა. თუმცა, ის ბევრი, ალბათ, ისინი არიან, ვინც პოლიტიკის ანბანა ზარმაცი მოსწავლესავით შეისწავლა!

რეკორდულად მოკლე დროში დასრულებული ყველაზე წყნარი სხდომა საკრებულოში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, უჩვეულო სიწყნარით რომ გამოირჩეოდა ყველაზე წყნარ სხდომათა შორის, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდგომ პირველი გახლდათ. არც განსახილველ საკითხთა რაოდენობა ყოფილა ბევრი და არც წინააღმდეგობა გაუწევიათ ოპოზიციურ პარტიებს რომელიმე მათგანის დამტკიცებისას. ხელის რამდენჯერმე აწევ-დაწევა და... საკრებულოს სხდომა რეკორდულად მოკლე დროში დასრულდა.

რამდენიმე მუხლობრივ ცვლილებას ტოლებისა და ქალაქის №1 სამუსიკო სკოლების ბიუჯეტში თავისი საჭიროება ჰქონდა. საკრებულოს წევრებმა მას მხარი დაუჭირეს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ბიუჯეტში ცვლილება ზამთრის სეზონის მოახლოებას უკავშირდება. დაინტერესდა რა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ავთანდილ თადუმაძე ამ ცვლილებით, გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ განუმარტა, რომ იგი საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტის მიერ შეტანილი შეშის დამზადებისთვის საჭირო თანხის მოძიებამ განაპირობა.

ოპოზიციის და არა მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები "სპორტულ კომპლექს სამტრედიას" ბიუჯეტში მუხლობრივი გადაადგილების განხილვისას, საფეხბურთო მოედანზე მიმდინარე სამუშაოებით დაინტერესდნენ. ვითამაშებთ თუ არა მასზე მომდევნო სეზონს მაინც? _ ჰკითხეს სპორტკომპლექსის დირექტორ ალექსანდრე სტურუას. როგორც გაირკვა, სამუშაოები გეგმაზომიერად მიმდინარეობს და მალე დასრულდება.

საკრებულოზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა. აგრეთვე, გადაწყდა საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების რამდენიმე საკითხი.

საკრებულოს წევრებს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ 2018 წლის სექტემბრის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი გააცნო.

საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში ცვლილება ახალი ფრაქციის შექმნით გახლდათ გამოწვეული. საკრებულოს ფრაქციათა რიცხვს კიდევ ერთი, "ჩვენი სამტრედია" შეემატა, რომელსაც ავთანდილ თადუმაძე უხელმძღვანელებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის შემდეგ, უმრავლესობის წევრ ზაზა ადეიშვილის განცხადება მოისმინეს საკრებულოს წევრებმა. მან ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. ცხრასართულიანი სახლის მიმდებარედ არსებულ მოედანს ტრაგიკულად დაღუპული პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელის, სამტრედიელი თედო კაკულიას სახელის მინიჭების წინადადება დააყენა.

თეა ბაბუნაშვილი

ინციდენტი საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში მოქალაქე მაია ფრანგიშვილსა და საკრებულოს დეპუტატ ბადრი შენგელიას შორის ინცინდენტი მოხდა. როგორც მაია ფრანგიშვილი აცხადებს, მისი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიას ოჯახები წლებია ახლობლობენ. მასთან პირად საკითხებზე საუბრობდა. საუბრისას ოთახში საკრებულოს დეპუტატი ღანირის თემიდან, ბადრი შენგელია შევიდა. რადგან მაია ფრანგიშვილს დეპუტატთან შეხვედრაც უნდოდა ღანირის თემში არსებულ პრობლემებზე, საუბარი იქვე გაგრძელეს. "ბადრი შენგელიასთან პირადად მინდოდა დალაპარაკება, იმ მომრავლებულ პრობლემებზე, რაც ღანირში არის. ჩემი დედულეთია ღანირი და იქ ჩასულს, გული მეტკინა გაპარტახებული რომ დამხვდა. ჩემი ოჯახი "ქართული ოცნების" მხარდამჭერი იყო და არის! მე და ჩემი ოჯახის წევრები გახლდით მათ შორის, ვინც ბადრი შენგელიას ხმა მისცა. როგორც ამომრჩეველს, არ მქონდა უფლება, მასთან სოფელში არსებულ მდგომარეობაზე გულისტკივილი გამომეთქვა?" როგორც მოქალაქე მაია ფრანგიშვილი ამტკიცებს, შენიშნებით გაბრაზებულმა ბადრი შენგელიამ მისკენ ხელით გაიწია. ისინი საკრებულოს თავმჯდომარემ გააშველა. ამ ინცინდენტის შემდეგ მან პოლიციას მიმართა, ჩაუტარდა საჭირო ექსპერტიზა.

საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია ადასტურებს მაია ფრანგიშვილის მონათხრობს, თუმცა დასძენს, რომ "ისინი წაკინკლავდნენ, ბადრი ხელით არ შეხებია, მხოლოდ შეხლა-შემოხლა იყო მათ შორის. მე არ დავუშვებდი ჩემი თანდასწრებით მდგომარეობა იმაზე მეტად გამწვავებულიყო, ვიდრე ეს შელაპარაკებისას მოხდა."

მაია ფრანგიშვილის მოთხოვნით "სამტრედიის მაცნე" სოფელ ღანირში ჩავიდა და გაეცნო იმ პრობლემებს, რაზეც მოქალაქე ფრანგიშვილი საუბრობდა. ყურადღება განსაკუთრებით სველი წერტილების მოუწესრიგებლობაზე გამახვილდა გამგეობასა და სამედიცინო ამბულატორიაში. მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ გახლავთ. გასათვალისწინებელია ყველა ის საკითხი, რაზეც მას პრეტენზია აქვს.

საკრებულოს დეპუტატი ბადრი შენგელია არ უარყოფს მაია ფრანგიშვილთან დაპირისპირების ფაქტს. როგორც აღმოჩნდა, ისინი ნათესავებიც კი არიან. როგორც დეპუტატი აცხადებს: "რომ მომენდომებია, მე ვერც ნუგზარი და ვერც ვერავინ დამაკავებდა. ამ ქალბატონთან უბრალოდ ვსაუბრობდი. იგი კომუნისტურ წყობას მისტიროდა. მე ვუთხარი, თუ ასე კარგი იყო კომუნისტური წყობა, რატომ დაანგრია იგი შენმა ოჯახმა- მეთქი. მისი მეუღლე გახლდათ გვარდიელი. მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის წლებში, სამტრედიაში სწორედ კულაშის ტექნიკუმი იყო დაბანაკებული სამოქალაქო გვარდია, რომელმაც კულაშის მიმდებარე ტერიტორიები გაძარცვა და გაანადგურა. ამ საუბარმა გააღიზიანა და ამის შემდეგ დაიწყო ჩვენს შორის კამათი, მხოლოდ კამათი, ამ ქალბატონს საერთოდ არ შევხებივარ. იგი ნუგზარ ჯამბურიასთან მოსული იყო მისი შვილის 100 ლარიანი ჯარიმის გადახდაში დასახმარებლად. ამ თემაზე საუბრობდნენ ოთახში."

მაია ფრანგიშვილი ხაზს უსვამს, რომ იგი განსაკუთრებით გააბრაზა მისი ოჯახის ძარცვაში დადანაშაულებამ: "ჩემი მაზლი თემურ ქორიძე და მეუღლე თამაზ ქორიძე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლაში მამაცი ჯარისკაცები გახლდნენ. ვინ იტყვის მათზე, რომ რამე გაქურდეს, მათ იცნობს საზოგადოება! ეს ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელი გახლდათ."

მაია ფრანგიშვილი ექსპერტიზის დასკვნას ელოდება. თავის მხრივ ბადრი შენგელია აცხადებს, რომ ქალბატონი მისი წყობიდან გამოყვანას ცდილობდა. იმას, რომ დეპუტატს ხელი არ დაურტყამს, საგულისხმოა ბადრი შენგელიას განცხადება _ რომ მომენდომებია, მე ვერავინ დამაკავებდა...!

საქმე ძალადობის მუხლითაა აღძრული.

აქ არასდროს ყოფილა ასფალტი

საუბარია სამტრედიაში ცურტაველის ქუჩასა და მის გაგრძელებაზე, კერძოდ, 1730 მეტრზე.

ნოემბრის უჩვეულოდ თბილ დღეებში აქ გზის მოშანდაგების სამუშაოები დაიწყო, მალე ასფალტიც დაიგება.

დავინტერესდით და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან შევიტყვეთ, რომ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია შპს "ჯორჯიან ბუილდი" აწარმოებს. სამუშაოს ღირებულება 242 ათას ლარამდეა. მიმდინარეობს, აგრეთვე, ცნობილი კომპოზიტორის, ევგენი მიქელაძის სახელობის ქუჩის მშენებლობაც. ამ ქუჩის სიგრძე 773 მეტრია, სამუშაოთა ღირებულება კი _ 87 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც ყოველივეს არჩევნებს უკავშირებენ.

შეგვიძლია ისინი დავარწმუნოთ, რომ არჩევნების შედეგების მიუხედავად, გაკეთებულ გზას არავინ აყრის. ასე რომ, რაც კარგია, კარგია!

ლევან გაბაჩავა

ოხუოლესიანი ახჩევნები _ საღომე ზუხაბიშვილი თუ გხიგოლ ვაშაძე?

ნინო ნანიტაშვილი

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი ცესკოს ჯერ არ შეუდგენია. ამდენად, მეორე ტურის ზუსტი თარიღიც უცნობია. თუმცა, პოზიციის და ოპოზიციის მხრიდან მეორე ტურის გამართვის სავარაუდო თარიღად 2 დეკემბერი სახელდება. სამტრედიაში პირველი ტურის შემაჯამებელი ოქმი 7 ნოემბერს შედგა, რომლის მიხედვითაც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა, გრიგოლ ვაშაძემ მისული ამომრჩეველის 41,4 პროცენტი ხმა მიიღო, 37,5 პროცენტით მეორე ადგილზე "ქართული ოცნების" მხარდამჭერი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილია.

სამტრედია მეორე ტურისთვის ემზადება. რას ფიქრობენ პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური სუბიექტები 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე და რას პროგნოზირებენ მეორე ტურში, ამის შესახებ "სამტრედიის მაცნე" სამტრედიაში მოღვაწე რეიტინგული პარტიების ლიდერებს შეხვდა და ესაუბრა.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს მოლოდინი გაუმართლდა. ემზარ შუბლაძე მე-2 ტურის გარდაუვალობაში დარწმუნებული იყო. მართალია, მათი საპრეზიდენტო კანდიდატი ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმებით მე-2 ადგილზეა, ემზარ შუბლაძე ამას უპირობო გამარჯვებად მიიჩნევს იმ პირობებში, როცა საბოლოო ოქმი ჯერ შედგენილი არ არის. მათ ხელთ არსებული საარჩევნო დოკუმენტაციით ვაშაძე, დაახლოებით, 2%-ით ლიდერობს და პირველივე ტურში პირველ ადგილზეა გასული. "ქართული ოცნების" ხელისუფლების კრახად მიაჩნია საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება: "ამის თქმის საფუძველს გვაძლევდა მოსახლეობის განწყობა. ისინი არა მარტო უკმაყოფილოები, გაბრაზებულები და გაღრისხებულები იყვნენ ხელისუფლების უყურადღებობით და კიდევ იმით, რომ ქვეყანაში 150 000-მდე ბავშვი მშიერი იძინებს და იღვიძებს, მილიონამდე უმუშევარია და საარსებო წყაროს გარეშეა დარჩენილი, პარლამენტარები სამსართულიან სასახლეებს იშენებენ და ფუფუნებას არ იკლებენ. პლუს ამას, ქვეყანაში ტოტალური კორუფციაა, განუკითხაობა, დამნაშავეების დაუსჯელობის განცდა. შეხვედრების დროს მოსახლეობის უმეტესობა ფარცხალაძეს ახსენებდა, რომელიც ერთ წელიწადში მულტი მილიონერი გახდა, რასაც კორუფციის და ბიზნესის დარეკეტების ხარჯზე მიაღწია".

"2 დეკემბრის არჩევნები სამტრედიელი პირველი "ნაციონალისთვის" ქართული ხალხის გამარჯვების დღე იქნება." _ ასე ფიქრობს ემზარ შუბლაძე. დარწმუნებულია, რომ ამომრჩეველი, რომელმაც 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს ნდობა გამოუცხადა "ქართულ ოცნებას", ხმას მისცემს კანდიდატს, რომელიც სალომე ზურაბიშვილს დაამარცხებს და დაამტკიცებს, რომ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული პარტიის გამარჯვება. ამ დროს ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, თანაც ძალიან დამაჯერებლად: "მიუხედავად იმისა, მიდის ჩვენი მომხრეების მასობრივი დაშინება, ხელისუფლებას მაქსიმალურად მობილიზებული ჰყავს სუს-ის თანამშრომლები, თუ ვინმეს ოდესმე შეხება ჰქონია სამტრედიასთან, ასევე გეგმავენ არჩევნების დღისთვის უბნებზე გაყალბებას. ამაში ღიად და დაუფარავად ჩართულია ადგილობრივი თვითმმართველობა, მერიის და მისი წარმომადგენლების მეშვეობით. მათი დამარცხება გარდუვალია. ალბათ, გაინტერესებთ, რომ არ ყოფილიყო სალომე ზურაბიშვილი, ჰქონდა თუ არა შანსი "ქართულ ოცნებას" საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში მოეგო, გიპასუხებთ, რომ ამომრჩეველმა უარი უთხრა არა მხოლოდ მათ კანდიდატს, რომელიც ჩემი აზრით ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებებით გამოირჩეოდა. პირადად მე ვთვლი სალომე ზურაბიშვილს მოღალატედ, მათ გამარჯვების შანსი მაინც არ ჰქონდათ".

28 ოქტომბერს საარჩევნო უბანზე ოჯახთან ერთად მივიდა. 6 სულიან ოჯახში საარჩევნო ხმით მხოლოდ 2 სუბიექტი სარგებლობს. თუმცა, კობა ძიძიგური ბოლო რამდენიმე წელია, ტრადიციულად, შვილებთან ერთად აკეთებს არჩევანს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსთვის და აქედანვე აჩვევს პატარებს მოქალაქეობრივი ვალის შესრულებას.

საპრეზიდენტო არჩევნებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხმა დამოუკიდებელ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს მისცა. 28 ოქტომბერს კობა ძიძიგურმა "ქართული ოცნების" კანდიდატის მხარდაჭერა გამოხატა და ამავე დროს პატივისცემა იმ ქალბატონის მიმართ, რომელიც დიდებული წინაპრების შტოდან მოდის, ქართული სულისკვეთების პატრიოტულ გარემოშია გაზრდილი და საქართველოს სიყვარულით უმგერს გული.

პირველი ტურის არჩევნებმა კობა ძიძიგური უკმაყოფილო დატოვა, რადგან ჰქონდა მოლოდინი, ქართველი ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებდა.

"სამტრედიის მაცნესთან" "კონსერვატორების" ლიდერი თანმიმდევრულად იხსენებს პერიოდს, რომელიც ქართულმა სახელმწიფომ ბოლო 25 წლის განმავლობაში გამოიარა: "არ მგონია, ხალხს დაავიწყდეს ის ავბედითი წლები, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ძალის გამოყენებით დაემხო ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება და ქვეყნიდან განდევნეს კანონიერი პრეზიდენტი, რამაც უამრავი უკუშედეგი გამოიწვია, ჩვენი ქვეყანა მაშინდელი გაჭირვებიდან დღესაც ვერ გამოსულა. სამოქალაქო ომმა, სულ ცოტა, 50 წლით დაგვხია უკან. დღემდე ვიმკით მაშინდელის მწარე შედეგებს. არ მგონია, ჩვენი ხალხისთვის მოსაწონი იყოს ხელისუფლებაში იმ ძალის უკან მობრუნება, რომელსაც თან ახლავს ტერორი, დაპატიმრებები, 300 000 პირობითი მსჯავრდებული, 40 000-მდე პატიმარი, უკანონოდ, ძალით დათმობილი ქონება და ბიზნესი; შეურაცხყოფილი, ხშირ შემთხვევაში, ღირსებაშელახული ქართველები, საშინელებები საპატიმროებში და არანაირი პერსპექტივა ნათელი მომავლის".

კობა ძიძიგურს არ უკვირს ის, რომ მოსახლეობა დღევანდელი ხელისუფლებით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. ხალხს ბევრი იმედგაცრუება შეხვდა. ელოდა უფრო მეტს, ვიდრე ამ 6 წლის განმავლობაში გაკეთდა: "თუმცა, არ შეიძლება, დავივიწყოთ, თუნდაც, მარტო ჯანდაცვის პროგრამით გადარჩენილი უამრავი ადამიანი. ოჯახი არ მეგულება, რომელსაც "ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში არ ესარგებლოს ჯანდაცვის პროგრამით, მაგრამ მარტო ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. პარტია, რომელიც წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას, არ დაავიწყდეს, რომ იგივე ამომრჩეველი სამართლიანობის აღდგენას გვთხოვდა. დღემდე არ არიან დასჯილი "ნაციონალური მოძრაობის" ის სახეები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის დატერორებაში ღებულობდნენ მონაწილეობას 9 წლის განმავლობაში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ხალხი უკმაყოფილოა "ქართული ოცნების" და არ მგონია, რომ ამ ხალხმა მე-2 ტურში ისევ ხალხის დამტერორებელ ძალას მისცეს ხმა. უბრალოდ, მე მესმის იმ ამომრჩევლის, რომელიც განაწყენებულია და არ მივიდა 28 ოქტომბერს არჩევნებზე, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ 2 დეკემბერს ხალხი არ დაუშვებს მოძალადე ხელისუფლების პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევას."

კობა ძიძიგური ფიქრობს, რომ უფრო მეტია გასაკეთებელი. ხელისუფლებამ ეს კარგად დაინახა საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხის მიერ მიღებული სიგნალით. კითხვაზე, დაუშვა თუ არა "ქართულმა ოცნებამ" შეცდომა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერით, სამტრედიაში პირველი კონსერვატორი ასე პასუხობს: "შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, უკეთესი კანდიდატურის შერჩევაც. "ქართულ ოცნებას" არ გაუჭირდებოდა თავის წიაღშივე მოეძებნა ის კანდიდატი, რომლის მიმართ ზედმეტი კითხვები არ ექნებოდა ამომრჩეველს, მაგრამ "ქართული ოცნების" მე-2 ტურში თუ "ნაციონალების" კანდიდატი დარჩებოდა საპირწონედ, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. როცა რუსეთის აგენტობას დააბრალებენ სალომე ზურაბიშვილს, იქვე რატომ არ ახსენდებათ მის მომხრეებს, რომ გრიგოლ ვაშაძე _ რუსეთის კგბ-ს კანდიდატურა ჰყავთ წარმოდგენილი, რომელიც ურცხვად აცხადებს, რომ მოქალაქეობას დაუბრუნებს და საქართველოში ჩამოიყვანს მიხეილ სააკაშვილს, შეიწყალებს და ციხიდან გამოუშვებს მერაბიშვილს, ახალაიებს და სხვა ტერორისტებს, რომლებიც, სხვათა შორის, საკმაოდ ცოტა რაოდენობით, მაგრამ 500-მდე მაინც არის საპატიმროებში".

განიცდის 2 დეკემბრის მოვლენებს, მაგრამ კობა ძიძიგური დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი ბრძენია და საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურში გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

"ევროპული საქართველო _ მოძრაობა თავისუფალი საქართველოს" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს _ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურში მხარი დაუჭიროს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, გრიგოლ ვაშაძეს. რაც შეეხება, 28 ოქტომბრის არჩევანს, თვლის რომ 62%-მა ხმა არ მისცა ხელისუფლების კანდიდატს. სალომე ზურაბიშვილთან ავთანდილ სტურუასაც ის პრეტენზიები აქვს, რაც, ზოგადად, ხელისუფლების მიმართ გააჩნია. ამბობს, რომ "ქართულ ოცნებას" სხვა კანდიდატის შემთხვევაშიც არ ჰქონდა გამარჯვების შანსი: "28 ოქტომბრის არჩევნები, დაახლოებით, 2012 წლის 1-ლი ოქტობრის არჩევნების ანალოგიური იყო. ამომრჩეველმა მაშინ უარი უთხრა მმართველ პარტიას, "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას". ამჯერადაც ამომრჩეველის ნახევარზე მეტმა გააპროტესტა "ქართული ოცნების" პოლიტიკური კურსი და უარი თქვა მისი კანდიდატის არჩევაზე.

პირველი ტურის არჩევნებზე მისეული პროგნოზი გამართლდა. იცოდა, რომ "ქართულ ოცნებას" გამარჯვების შანსი არ ჰქონდა, თუმცა ხელისუფლების წინააღმდეგ ამდენი პროტესტის დაფიქსირება ვერ წარმოედგინა: "ვინაიდან დიდი იყო აგრესია მმართველი პარტიის და მისი კანდიდატის მიმართ, ამომრჩეველმა მიიღო გადაწყვეტილება, უფრო კატეგორიული კანდიდატისთვის დაეჭირა მხარი. ასეთი აღმოჩნდა გრიგოლ ვაშაძე. რაც შეეხება ჩვენსას, დავით ბაქრაძეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საპრეზიდენტო არჩევნები იყო ორ პოლუსიანი, ამ ფონზე ბაქრაძემ საკმაოდ დიდი მხარდაჭერა მიიღო და გავიდა მე-3 ადგილზე".

მართალია, თითქმის მე-3 წელია "ევროპული საქართველო" გამოეყო "ნაციონალურ მოძრაობას" და მას შემდეგ საზოგადოებას არწმუნებს, რომ ისინი ერთნი აღარ არიან, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურში გამარჯვებისთვის გაერთიანდნენ, ავთანდილ სტურუა ამაში არ გვეთანხმება: "მიგვაჩნია, რომ "ქართული ოცნების" კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი არის ამ ქვეყნისთვის ძალიან დიდი პრობლემა და "ქართული ოცნების" კურსი ქვეყნისთვის დამანგრეველი, ამიტომ, როგორც ოპოზიციური პარტია, ჩვენი მთავარი სლოგანია: "არა სალომეს!" ავტომატურ რეჟიმში მხარს ვუჭერთ გრიგოლ ვაშაძეს და არა მხოლოდ ჩვენ ვუჭერთ მხარს, ყველას მოვუწოდებთ, ვისაც მიაჩნია, რომ ქვეყანაში სიტუაცია უნდა შეიცვალოს და ასეთნაირად ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, მხარი დაუჭირონ და ხმა მისცენ გრიგოლ ვაშაძეს".

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა იმედი გაუცრუა სამტრედიაში ყოფილ პირველ "რესპუბლიკელს", ამჟამად კი "შენების მოძრაობის" ლიდერს. იმედა გოგავას არჩევნების პირველი ტური "ქართული ოცნებისათვის" ქართველი ხალხის განაჩენად მიაჩნია. დღემდე გადაწყვეტილი არა აქვს, როგორც მოქალაქე, მიიღებს თუ არა მეორე ტურში მონაწილეობას. შედეგი ადარდებს, თუმცა, ფიქრობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მიიღებს, რასაც აცნობებს კიდეც თავის მხარდამჭერებს:

"სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, დავით უსუფაშვილი პოლიტიკურ სცენაზე ახალ უფსკრულებს არ აჩენს, პირიქით, არსებულ უფსკრულებზე ხიდების აგებას ცდილობს. ქართულ არჩევნებში კი მნგრეველები იპყრობენ გულებს და მშენებელს გონებაც კი არ უღებს კარს... ის ადამიანში პარტნიორ მოქალაქეს ეძებს და მასთან საუბრობს. ჩვენს არჩევნებში კი ამომრჩეველს "ელექტორატის ენაზე" უნდა ეკეკლუცო და როგორმე ხმა გამოღლიტო... მან ვერც ბიზნესწრეები "დაითრია" ხელისუფლებაში ყოფნისას და ამიტომაც მოხსნა ყველა დროის რეკორდი "საარჩევნო კამპანიაში" დახარჯული თეთრით. გამოდის, რომ ქართული პოლიტიკისთვის აუცილებელი "მარიფათიც" ჰკლებია _ "თუ საჭირო იყო, უნდა მოეპარა კიდეც; თუ საჭირო იყო, უნდა ეცრუა კიდეც; თუ საჭირო იყო, უნდა ემრუშა კიდეც; თუ საჭირო იყო, უნდა გაეთხარა კიდეც"... მაგრამ ის სხვისი რჩეული იქნებოდა და მათ მიმართავდა, ვისაც საქვეყნო საქმე კი არა, საქვეყნოდან სათავისოს ვერმოციქენა ადარდებს. ჩვენს ქვეყანას კი ზუსტად ასეთი დავით უსუფაშვილი სჭირდება. დღეს ის დამარცხდა, მაგრამ ხვალ ჩვენთან ერთად და ჩვენი ხელშეწყობით სხვა ჩვენნაირები, ჩემზე უკეთესები და ძლიერები გაიმარჯვებენ. მეც დღეიდან მათ წარმატებას მოვახმარ ჩემი ცოდნის, გამოცდილების და ენერგიის ძირითად ნაწილს. მეტი და უკეთ ორგანიზებული შრომით ნამდვილად მეტი შეგვიძლია! საქართველო მაშინ დაღაგდება, დამშვიდდება და გაძლიერდება, როცა 36 037 ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, აგურ-აგურ 360 370 გავხდებით.

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა ბევრი გაახარა, ბევრიც აღაშფოთა, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრაქტიკულად გარდაუვალი სახელისუფლებო ცვლილება მოხდეს, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, საკონსტიტუციო ჩარჩოებში და პოლიტიკური პროცესების მეშვეობით. მაგრამ ერთმმართველი "ოცნება" არ უნდა ჩაანაცვლოს ერთმმართველმა "ნაციმოძრაობამ", საითაც მიექანება პროცესი, თუ არ იქნა მიღებული ძალიან კონკრეტული ზომები. მე ვაფრთხილებდი "ქართულ ოცნებას" _ სანამ დროა, მიიღეთ პროპორციული საარჩევნო სისტემა _ ვერ გაიგონეს ეს ხმა და ახლა შესაძლოა, თავად "ოცნებას" გაუხდეს სანატრელი ეს პროპორციული არჩევნები, იმიტომ, რომ თუ სააკაშვილმა მოიგო და ხელში აიღო სადავეები, ცოცხალი თავით აღარ დათმობს იმ სისტემას, რომელიც ახლა უკვე მას მოუტანს საკონსტიტუციო უმრავლესობას. ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს მინდა, მივმართო, მორჩა, იქნებ ახლა მაინც გაიგოთ და შეიგნოთ, რომ სახელწმიფო მოხელის ნომერი პირველი ამოცანაა სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა და მხოლოდ ამის შემდეგაა მისი პოლიტიკური ფავორიტისთვის კანონის ჩარჩოებში მხარდაჭერა. აი, ამიტომაც გამოუტანა ქართველმა ხალხმა ეს განაჩენი "ქართულ ოცნებას" 28 ოქტომბერს, რომ საჯარო სამსახურები მთლიანად ჩაერთვნენ "ქართული ოცნების" პოლიტიკური ამოცანების შესრულებაში. ამიტომ, მეორე ტურში მოდით, არჩევნები ჩაატარეთ და ხალხს მიეცით საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება. ჯობია, ეს დაგიჯდეთ ამ არჩევნებში დამარცხებად, ვიდრე იმ მეთოდებით, რაც ამ არჩევნების დროს გამოიყენეთ, შეეცადოთ გამარჯვებას და ამიტომ ყველაფერი დაკარგოთ. და უმთავრესი! დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო, იმ 36 007 მოქალაქეს, რომლებმაც ხმა მომცეს საპრეზიდენტო არჩევნებში. ამით მათ ხმა მისცეს საკუთარ არჩევანს, საკუთარ შეხედულებებს, ამითი ხმა მისცეს იმას, რომ ჩვენ ერთ პოლიტიკურ გუნდად გავაგრძელებთ ბრძოლას და შრომას ამ ქვეყნისათვის და ვიქნებით ამაყნი, ვინაიდან სწორი არჩევანი გავაკეთეთ. ვართ ამაყნი, რომ, დიახ, ვართ ორ პროცენტნახევარი და გვირჩევნია ვიყოთ ეს ორ-პროცენტნახევარი, ვიდრე ისეთი 37% ან ასეთი 38%. დიდი მადლობა ამ ნდობისათვის, წინ ძალიან სერიოზული საქმე გვაქვს კიდევ საკეთებელი".

ლევან გაბეჩავა

არაპოლიტიკური თხოვნა

28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა მსუბუქად რომ ვთქვათ, ბევრი გაანცვიფრა. მეორე ტურამდე დიდი დროა, მანამ კი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე დაიწყება მუშაობა უთუოდ. ჩვენც ამ საკითხზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

ბოლო წლებია ქვეყანაში ლამის ტრადიციად იქცა, თუ შპს-ებსა და ააიპ-ებში დასაქმებულნი ხელფასების, თანამდებობრივი სარგოების მომატებას მოითხოვენ, ამ ''თავნებობაზე'' ტაქტიანად'' პასუხობენ, რომ ქვეყანაში ბევრი უმუშევარია, პრეტენზიის გამხმიანებლები კი მუშაობენ და მეტი საშუალება ბიუჯეტს არა აქვს.

გასაჭირია? ყველამ უნდა გაიჭირვოს, და არა ერთეულებმა. გვწამს, ეხვდებით იმდენს, პრეზიდენტს, მინისტრებს, სახელმწიფო უწყებათა (ცენტრალური) თავკაცებს, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებს დიდი პასუხიმგებლობა და დიდი, მაღალი ხელფასები რომ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ რამდენით მეტი?

მართალია დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მთავრობის განახლებული გუნდი შეუდგა მუშაობას, მაგრამ საშუალო და საშუალოზე დაბლა მყოფი ფენა პირობების გაუმჯობესებას ვერ ვგრძნობთ.

ფასები კი, ფასები კატასტროფულად იზრდება პროდუქტზე, მედიკამენტებზე, საწვავზე, ეროვნული ვალუტა კი... მართვით სუნთქვახეა, სულს ღაფავს მისი კურსი ლართან მიმართებაში.

შრომისა და არსებობის უფლება კონკრეტული ადამიანისათვის კონკრეტულ ხელმძღვანელ(ებ)ს არ უბოძებია, იგი ხალხს საერთაშორისო კანონმდებლობებით დეკლარაციით აქვს განსაზღვრული, მინიჭებული, ამდენად...

სამუშაო ადგილების გაჩენა და უმუშევართა არმიების შემცირება ყველა დროში ყველა დონის არჩევნების წინ მთავარზე უმთავრესი ლოზუნგი იყო და არის, სინამდვილეში?

იყოს ბატონებო სამუშაო ადგილები და არავის ექნება ჭკუათმყოფელთაგან ილუზია მაინცდამაინც მმართველობით ორგანოებში, ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ შპს, ააიპ-იებში იმუშაოს და ყოველთვიურად მიზერულ ხელფასთან ერთად ყოველდღიური სტრესი მიიღონ საზღაურად.

ნიშნავს თუ არა ქვეყნისთვის რაიმეს პრეზიდენტი და საპრეზიდენტო არჩევნები ცხადია. დღეს ერი და ბერი საქართველოში ამ მოვლენაზე, პროცედურაზე საუბრობს.

შედეგს არჩევნების მეორე ტური დადებს (ღმერთმა ინებოს იგი, (შედეგი) მომგებიანი იყოს ქვეყნისთვის), მაგრამ არჩევნების მეორე ტურამდე ქვეყანაში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე უნდა დაიწყოს მუშაობა. გვაქვს თხოვნა (და არა მოთხოვნა კატეგორიული) რომ ეს პროცესი (ბიუჯეტის შედგენა) გამჭვირვალედ, შპს, ააიპ-ებში დასაქმებულთა რამდენადმე მაინც სახეიროდ გადაწყდეს. ისიც გასათვალისწინებელია უეჭველად, რომ იანვრიდან, როცა პენსია 200 ლარი გახდება, ქვეყანასა და ჩვენს მუნიციპალიტეტშიაც რიგ შპს-ააიპ-ებში ხელფასები 200 ლარზე დაბალი და ოდნავ მეტი არ უნდა ფიქსირდებოდეს.

ბიუჯეტს სხვათა კეთილდღეობის ხარჯზე არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

დაბოლოს, ძვირფასო ხელისუფალნო იცხოვრეთ თქვენც და არსებობის საშუალება მოგვეცით ჩვენც.

სამტრედიელებო, საოქტომბრო "გამოცდებში" არასოდეს ჩავჭრილვართ!..

პატივცემულო მკითხველო, ჩემო ძვირფასო სამტრედიელებო!

28 წლის წინანდელ რეფერენდუმში მონაწილე 45662 ადამიანიდან მხოლოდ 63 წინააღმდეგი აღმოჩნდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ პერიოდში დამოუკიდებელმა საქართველომ ოთხი პრეზიდენტი ''გამოიმუშავა'' და კიდეც ''გადაამუშავა'' თუ ''მოინელა''... მაგრამ რასაც რეფერენდუმში მონაწილე, ერთიანი საქართველოს მოსახლეობა ელოდა, ჩვენთვის ძალზედ სამწუხაროდ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული, ჰოდა, თვალწინ გვიდგას, რიგით მეხუთე საყოველთაო წესით ასარჩევი საქართველოს პრეზიდენტი, რისი მსურველიც ბოლო დაზუსტებული სიით ოცდახუთი მაძიებელი კანდიდატით შემოიფარგლა.

საქართველოს პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვში ცხოვრებაგამოვლილი, დაბრძენებული, გონიერი ახალგაზრდა მამაკაცებიც არიან, მათ შორის მხოლოდ ერთი პატივცემული ქალბატონია სალომე ზურაბიშვილი.

ახლა საუბარი მსურს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის მყოფ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილზე, რომელიც ამ გრძელი სიის წევრი ერთადერთი ჭეშმარიტად მაღალკვალიფიციური და მრავალნაცადი დიპლომატი, სენის წყალდალეული ქალბატონი არის ზურაბიშვილთა დიდი ოჯახის წარმომადგენელი. პირადად მისი ბიოგრაფიაც წილნაყარია ბედკრული საქართველოს XX და XXI საუკუნეებზე გადანაწილებულ ტკბილ-მწარე ასწლეულში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქალბატონ სალომეს, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიო დონის და რანგის ნებისმიერ პოლიტიკოსთან და მათ ხელდასხმულ დიპლომატ მინისტრებთან საუბროდ და, გნებავთ, საპაექროდ, ყველა დიპლომატიური წეს-ეტიკეტის დაცვით საუბრის წარმართვისას, ''ჭკუის მასწავლებელი'' დამხმარე პირი არ დასჭირდება. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონდებლო ორგანოების გადაწყვეტილებების გამოსამზეურებლად არც სუფლიორს მოითხოვს.

ხაზგასასმელია ისიც, რომ უკვდავი სახელის მქონე, სრულიად საქართველოზე გადაგებული ერისკაცი, სულგანათლებული დიდი ნიკო ნიკოლაძის ბადიშვილია. სამტრედიელებისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. რამეთუ დიდი ნიკო ნიკოლაძე მუდამ იყო, არის და ასევე დარჩება გაერთიანებული საქართველოსთვის სასიქადულო და თავმოსაწონებელ დიდ მამულიშვილად და ჩვენი სამტრედიელების თანამემამულედ.

წინსწრებით ვამბობ, რომ ღმერთი, რჯული, ხატი, არაფერი მსჯის არც არავის წინაშე და არც არაფერი მავალდებულებს. მაგრამ, რომ ვუკვირდები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მმართველი პოლიტიკურ პარტიას აშკარად სასიკეთოდ დაეტყო მისი დამფუძნებელი თავკაცის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავის ძველ თანამდებობაზე დაბრუნება, პოლიტიკისკენ შემობრუნება.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით, ფრთებდაჭრილი და ფრთებშეკვეცილი პრეზიდენტის უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე, რომელიც შინ და გარეთ მთავარი ''მომლაპარაკებელი'' ნეიტრალური არბიტრის როლს ითვალისწინებს, და არა დამსჯელ-განმსჯელის ფუნქციას, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის არჩევის შემთხვევაში, მისი მხარდამჭერი ხელისუფლების ორივე შტოს, ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული მნიშვნელობის გეგმა-გადაწყვეტილებების ევროპული დონის ''შეფუთვით'' წარდგენა-მიწოდების მხრივ ყველაფერი ევრო-ამერიკული სტანდარტებით გარანტირებული გვექნება. და ამ მხრივ ახლო წარსულის სიმწრის ღიმილის მომგვრელი კინკლაობისაგანაც გათავისუფლდებით... და ამჟამად მმართველ პოლიტიკურ ძალას მიეცემა ყველა მომართულებით ''სრული სვლით'' მსვლელობის შესაძლებლობა.

ჰოდა, ამ ყველაფერს ნათქვამ-უთქმელიდან და სტრიქონებს შუა თუ შორის ნაგულისხმევი აზრიდან გამომდინარე, მოკლედ მოვჭრი: ხმა მივცეთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. ამით მოიგებს საქართველო, ესე იგი, ჩვენ ყველანი!

ისიდორე (მაჟული) ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 27 ოქტომბერი, 2018 წ.

ამ გზას ბორნამდე მივყავართ

დიახ, ახალსოფლის ბორნამდე, რომლითაც ასობით ოჯახი და ათასობით ადამიანი სარგებლობს.

31 ოქტომბერს, ნაშუადღევს, სოფელ დიდი ჯიხაიშიდან, გიორგი ნიკოლაძის საიუბილეო საღამოდან წამოსულებმა, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ვიცე-მერმა დავით ბახტაძემ მედიის წარმომადგენლებთან ერთად იმ მშენებარე გზის მონაკვეთი მოინახულეს, რომელსაც ახალსოფლის ბორნამდე მივყავართ და რომლითაც რამდენიმე უბნის მოსახლეობა სარგებლობს. სამუშაოს შპს "ლატქსი" აწარმოებს, გზის სიგანე საკმარისია საიმისოდ, რომ მანქანამ მანქანას გვერდი აუაროს.

ვიდრე მეგზევეები წუთშესვენებაზე იყვნენ და მერი და ვიცე-მერი შესრულებულ სამუშაოებს ათვალიერებდნენ, ადგილობრივებს გავესაუბრეთ.

საშინელ ყოფაში იყო აქაურობა, განსაკუთრებით წვიმისა და უამინდობისას. ბორნით გამოგვაქვს მოსავალი აქაურებს, ბორნითვე გაგვყავს და გამოგვყავს საქონელი, ერთი სიტყვით, ბორანი და მასთან მისასვლელი გზა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ახალსოფლელებისათვის, სხვა უბნებისა და სოფლების მოსახლეობისათვის, რომლებიც ამ ბორნით სარგებლობენ და საჟანე ფართობები გადმა აქვთ.

_ მადლობა მეგზევეებს, მუნიციპალიტეტის თავკაცებს ხარისხიანი გზის გაკეთებისათვის. _ თანასოფლელთა აზრი გამოხატა "სამტრედიის მაცნესთან" ილია ტაბიძემ.

მეგზევეებს დავემშვიდობეთ. მძლავრი ტექნიკა აგუგუნდა, შესვენება დასრულდა.

როცა ეს წერილი დაიბეჭდება, გზა უკვე ექსპლუატაციაში იქნება, ხოლო ახალსოფლელები _ ხარისხიანი გზით კმაყოფილები.

ლევან გაბეჩავა

ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში

მიუხედავად მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, რომელსაც მგზავრთა უსაფრთხო მოძრაობისათვის ატარებს რკინიგზის დეპარტამენტი, პრაქტიკაში ჯერ კიდევ აღირიცხება ადამიანთა მარცხი და მსხვერპლი რკინიგზაზე. ეს არა მარტო მატარებელთა ინტენსიური მოძრაობითაა გამოწვეული, არამედ უმეტეს წილად მოქალაქეთა მიერ მოძრაობის ელემენტარული წესების დაუცველობით, ბევრი მათგანი არ სარგებლობს რკინიგზაზე არსებული გადასასვლელი ხიდებით და არ გადადის იქ, სადაც გადასასვლელია. ხშირად ავტომანქანის მძღოლები უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს. დაუცველ გადასასვლელებზე, კერძოდ, სადგურ სამტრედიაქოლობნის გადასარბენზე არ შეაჩერებენ ავტომანქანას. ამას წინათ აღნიშნულ გადასასვლელზე ჩქარი მატარებელი თბილისი-ზუგდიდის მემანქანე იძულებული შეიქმნა გამოეყენებინა სწრაფი დამუხრუჭება. რომ არ დაჯახებოდა მსუბუქ ავტომანქანას, რომელიც შეიჭრა გადასასვლელზე მიუხედავად სიგნალიზაციის ამოქმედებისა. რკინიგზაზე უსაფრთხო მოძრაობის მუშაკები ქმედით ზომებს იღებენ უბედური შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მომხდარი ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა უმრავლესობა რკინიგზის ზოლში სიფრთხილის წესების დაუცველობითაა გამოწვეული. ეს ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. მოძრაობის ელემენტარული წესები არ დაიცვეს მძღოლებმა, რომლებიც ავტომანქანით შეიჭრნენ რკინიგზის გადასასვლელზე არგვეთა-ზესტაფონის და მახინჯაური-ბათუმის გადასარბენზე. რკინიგზის გადასასვლელზე სამი ადამიანი დაშავდა, ერთი კი გარდაიცვალა. უბედურ შემთხვევა მოხდა სადგურ აბაშაში, ინგირში, სენაკში, ქვალონი-ჭალადიდის, ინგირი-ხობის, არგვეთა-ზესტაფონის, მახინჯაური-ბათუმის გადასარბენზე. მართალია, ახლა ამ ფაქტებზე ლაპარაკი ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენას ნიშნავს, მაგრამ ჩვენ ამიტომაც მოვიყვანეთ აქ, რომ სერიოზულ გაფრთხილებად იქცეს ყველასთვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს, მოძრაობის წესების დაცვა თავიდან აგვაცილებს სავალალო შედეგებს. რკინიგზის მთელ რიგ უბნებზე დაწესებულია მოძრაობის მაღალი (80-100 კმ) სიჩქარე, რის გამოც მატარებლის უეცარი შეჩერება შეუძლებელია. დამუხრუჭების დროსაც კი შემადგენლობა სრულ შეჩერებამდე კიდევ გაირბენს რამდენიმე ასეულ მეტრს. ეს კი ზრდის საშიშროებას განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსა და მთავარ სარკინიგზო მაგისტრალების საგარეუბნო ზონებში. თუ არ გვინდა, საფრთხეში ჩავიგდოთ საკუთარი სიცოცხლე _ უნდა დავიცვათ შემდეგი, აუცილებელი წესი _ ვისარგებლოთ გადასასვლელი ხიდებით და ნუ გავძვრებით შემადგენლობის ქვეშ, ნუ ვივლით რკინიგზის ლიანდაგებში! ავტომანქანის მძღოლებმა რკინიგზის გადასასვლელზე უნდა შეანელონ სვლა და დარწმუნდნენ სრულ უსაფრთხოებაში. ეს არის ელემენტარული წესები, რომელიც ყოველგვარი უსიამოვნებისგან თავის დაზღვევის გარანტიას იძლევა.

რევაზ შავგულავა

ბენია თხილავა _ 80

სახელოვანი კი არა, ერთი უბრალო კაცის გზა გავიარე...

“იმდენი გაიღო სამშობლოსთვის, ათ კაცს რომ ეყოფა”

ქეთევან ჭელიძე

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სტუმრად მყოფი კულტურის მინისტრის მოადგილე ბატონ ბენია თხილავას სახლში სწვევია. უთქვამს, ვიღაც მოქალაქეს პირველი მოსაწვევი ბარათი, ჯერ კიდევ შემოუნახავსო. ეს კაცი მე ვარო, უპასუხნია. სწორედ მაშინ მიანიჭეს მას ამ თეატრის ერთგული მაყურებლის წოდება. წლების შემდეგ კი როგორც იუბილარი, ისე იდგა აქ სცენაზე მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე ბატონი ბენია თხილავა და ქებითა და სიყვარულით სავსე სიტყვებს ისმენდა. რა ყოფილა ეს იუბილე, რომ მცოდნოდა, ალბათ, უარს ვიტყოდიო, დასცდა. მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით განაცხადა: “ბედნიერი კაცი ვარ, რომ სახელოვანი კი არა, ერთი უბრალო კაცის გზა გავიარე”. ეს გზა კი დაბადებიდან 80 და მოღვაწეობის 60 წლისთავზე ნაამაგარით არის სავსე.

“არ არის შანსი, თუნდ, ერთი ციდა,/ მე ქუთაისთან რამემ გამყაროს,/ დამწვარი გულის ფერფლი ზეციდან/ ჩემს ქალაქს უნდა გადმოვაყარო.” _ ამბობს ის თავის ერთ ლექსში, თუმცა, “წრე შემოხაზა ცხოვრებამ მშვიდად,/ ნაკვნარ ფუძეს ეწვია ისევ./ ჩემი ბავშვობა დამხვდა მასპინძლად,/ იმ სამოთხეში რომ შევაბიჯე”, _ ეს უკვე ღანირს ეკუთვნის.

საიუბილეო საღამო, რომელზეც “სამტრედიის მაცნეც” მიიწვიეს, ქალაქ ქუთაისის მერიის, საზოგადოება “ბაღისკიდის” და საზოგადოებრივი დარბაზის, “ღირსების”, ინიციატივით შედგა. იუბილარის მეგობრები, კოლეგები, დედაქალაქიდან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსული სტუმრები და, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები მრავლად შეიკრიბნენ დარბაზში. საღამოს ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა პოეტი ირმა ქურასბედიანი, ასევე, მსახიობი თეა გეგეჭკორი.

ბევრი თბილი და ამაღელვებელი სიტყვა ითქვა ადამიანზე, რომელმაც ასე ღირსეულად იცხოვრა და იღვაწა. ძნელია ყველაფრის აღნუსხვა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ამ

დღეს ანგარიში ჩააბარა მშობელ ხალხს.

ბენია თხილავა 1938 წლის 14 სექტემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში დაიბადა ნიკოლოზ თხილავასა და ვერა კაჭარავა-თხილავას ოჯახში. მან ოქროს მედალზე დამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, დამთავრების შემდეგ ფიზიკის კათედრაზე უფროს ლაბორანტად ტოვებენ. შემდეგ ბატონი ბენია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტზე თეორიული მექანიკის კათედრაზე გადადის სამუშაოდ. მან სხვა მეცნიერებთან, გიორგი გაბუნიასთან, გურამ ვალიშვილთან, სონია მირიანოვასთან და კოტე იმედაშვილთან ერთად ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დააფუძნა. ახალგახსნილი ინსტიტუტის პირველი რექტორი, პროფესორი ნოდარ ვალიშვილიც მან წარუდგინა სამეცნიერო საბჭოს.

ბატონი ბენია თხილავა, რომელსაც დოცენტის აკადემიური წოდება აქვს მინიჭებული, დღემდე მუშაობს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წარმატებული მეცნიერი და მრავალმხრივი შემოქმედი სხვადასხვა რეგალიების მატარებელია. არის ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის წარჩინებული, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის გამგეობის წევრი, საქართველოს მწერალთა და შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოში პირველი საზოგადოებრივი გაერთიანებისა “სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო” და დღემდე მისი თავმჯდომარეა. ასევე, ერთერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტია მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო კავშირ “ინტელექტის”, აგრეთვე, ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის, დამფუძნებელი და რედაქტორი ამავე აკადემიის ორგანოს _ გაზეთ “იპოლიტესი”. მისი მეშვეობით შეიქმნა კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს გაზეთი “ღირსება” და რედაქტორობს მას. იგი გახლავთ ქუთაისის საპატიო მოქალაქე, არის ავტორი ექვსი დამხმარე სახელმძღვანელოსი ტექნიკური სპეციალობის სტუდენტებისთვის. მას ეკუთვნის 400-ზე მეტი პუბლიცისტურ-ანალიტიკური და შემეცნებითი სტატია. ჟურნალისტიკას ეძღვნება მისი სამი მონოგრაფია. გამოსცა იუმორისტულ ნაწარმოებთა ორი წიგნი და წიგნი “ქუთაისის საპატიო მოქალაქეები”.

მან ერთ-ერთმა პირველმა დააფუძნა საქართველოში საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბი. არის 800-ზე მეტი სატელევიზიო გადაცემის ავტორი და ტელეწამყვანი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი პოეტური შემოქმედება. ბენია თხილავას კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ნოველა, ფელეტონი, პამფლეტი, იუმორი. იბეჭდება ცენტრალურ თუ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში.

იგი ავტორია სამი პოეტური კრებულის. მის ლექსებზე შეიქმნა სიმღერები. როგორც სცენისმოყვარემ, 10-მდე როლიც განასახიერა, ხოლო თეატრზე სამი წიგნი დაწერა.

ბატონი ბენია “საპატიო ბაღისკიდელის” წოდებასაც ატარებს. მას მეგობრობა აკავშირებდა იპოლიტე ხვიჩიასთან. ურთიერთობდა ბევრ სხვა ცნობილ ადამიანთან. მათზე მოგონებები მას სიხარულითა და სიამაყით ავსებს.

ალბათ, ამ საგაზეთო წერილში გაძნელდება იმ სასიკეთო საქმეების დაწვრილებითი აღნუსხვა, რაც ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე უკეთებია. და ეს ნიჭის, ინტელექტის, კეთილშობილების, ღირსების კვარცხლბეკზე შემდგარი კაცი, სიცოცხლეშივე რომ აიგო ძეგლი, ბავშვივით სახეზე ხელებს იფარებდა ქებისგან დარცხვენილი. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მადლიერი და კეთილისმსურველი ადამიანები. ჰყვებოდნენ ბატონი ბენიას მამულიშვილობაზე, მეცნიერულ მიღწევებზე, შემოქმედებით შესაძლებლობებზე, ოჯახზე.

“მთელი ქალაქი ეფერება ბატონ ბენიას. იმსახურებდა ასეთი საღამო გამართულიყო”. _ აღნიშნა ირმა ქურასბედიანმა და თბილი სიტყვით თვითონაც მოეფერა იუბილარს, რომელმაც ანსამბლ “ბერმუხასთან” ერთად შემოდგა ფეხი სცენაზე. პირველად დეკანოზმა ექვთიმე ჩივაძემ დალოცა თავისი იუბილარი ნათლული. მერე მისმა ყოფილმა სტუდენტმა თემურ შაშიაშვილმა ბრძანა: “მოვედი ჩემს მასწავლებელთან. თეორიულ მექანიკაში ხუთიანი დამიწერა, ძალიან მიყვარდა ეს საგანი”. თან საკუთარი წიგნიც მოიტანა “გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ” და ამით ერთვნული სულის კაცს თავისი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა. რამდენიმე დღის წინ ერთერთი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუც გაიხსენა და აღნიშნა:” წერილს სათაურად ლაშა ნადარეიშვილის ლექსის სტრიქონი აქვს: “ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს”, ბატონი ბენიაც ის კაცია, ვისაც სამშობლოსთან არაფერი შეშლია!”

სიტყვაუხვობდა ქალბატონი ირმა ქურასბედიანი და სცენაზე იმ ადამიანებს იწვევდა, ვისაც ბატონ ბენიასთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა.

“ბაღისკიდელთა” სახელით იუბილარს ამ საზოგადოების ახლად არჩეული თავმჯდომარე ბექა კეპულაძე მიესალმა. მან “ბაღისკიდის” ავტორიტეტისა და ცნობიერების ამაღლებაში საზოგადო მოღვაწის უდიდეს წვლილზე მიუთითა და მისივე სიტყვები შეახსენა: “ბაღისკიდე” ის საზოგადოებაა, რომელიც ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელისუფლებასთან.” რომ ბატონი ბენიას სატელევიზიო გადაცემები, არა მარტო ქუთაისის, მთელი ქვეყნის მასშტაბით აძლევდა სტიმულს ადამიანებს, უკეთესად ემუშავათ და გაცილებით მეტი ეკეთებინათ. “უსაზღვროდ გიყვართ თქვენი ქვეყანა, არ გამძიმებთ შური სხვათა მიმართ და ამიტომაც იცხოვრეთ 8 ათეული წელი.” _ უთხრა მას. კლინიკა “სარველმა” თქვენს ჯანმრთელობაზე იზრუნაო, აღნიშნა და იუბილარს უფასო სამედიცინო კონსულტაციების მისაღებად ბარათი გადასცა.

ბექა კეპულაძემ იმ დღეს ბატონი ბენიას პატივსაცემად როიალზე მუსიკალური კომპოზიციაც შეასრულა.

ქუთაისის საკრებულოს სახელით იუბილარს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ ჩხიკვაძე მიესალმა. მან იოსებ ნონეშვილის პოეტური ფრაზებიც მოიშველია: “წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე, ესეც გმირობაა დიდი.” მართლაც, კაცურად იცხოვრეთ და კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი”. ბევრ ახალგაზრდას რომ გაუკვალა გზა ამაზეც თქვა, მართალი სიტყვა შეუქო შემოქმედს და განმარტა, განსაკუთრებულად როგორი გულწრფელია მისი ლექსები.

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სახელით კეთილი სიტყვა არ დაიშურა ამაგდარი ადამიანის მიმართ უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ შალვა კირთაძემ.

მაყურებლის ტაში და ოვაცია დაიმსახურა საიუბილეო საღამოზე ბავშვთა ანსამბლ “ადილას” მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. თბილად მესალმა ღვაწლმოსილ ადამიანს ანსამბლის ხელმძღვანელი მაიზერ გაზდელიანი.

ყოველთვის დიდი საქმეების სათავეებთან იდგა და მოსვენებას არც ჩვენ გვაძლევდაო, _ აღნიშნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოადგილემ გენადი კუჭუხიძემ.

ანსამბლ “ჩვენი კვარტეტის” მომღერლებთან ერთად საკუთარი სიმღერით მიულოცა საიუბილეო თარიღი ბატონ ბენიას ზესტაფონელმა სტუმარმა ლალი კევლიშვილმა.

ნიჭიერი კალმოსანი, ახალ-ახალი იდეების გენერატორი უწოდა თავის გამოგზავნილ მილოცვაში ცნობილმა ჟურნალისტმა ვანო ჯაფარიძემ მეგობარს, რომელმაც “იმდენი გაიღო სამშობლოსთვის, ათ კაცს რომ ეყოფა”.

უხერხულობის განცდა დაეუფლა ღვაწლმოსილ ადამიანს, როცა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ გუბაზ მეგრელიძემ პრეზიდიუმის გადაწყვეტილება აუწყა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდების მინიჭების შესახებ. “იშვიათია, როცა ფიზიკოსი არის ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. თქვენ ქართულ ჟურნალისტიკაში დიდ ავტორიტეტს წარმოადგენთ”. _ მიმ-

←

ართა მას.

სცენა ქუთაისის კადეტთა ლიცეუმის მოსწავლეებმა დაიკავეს და ბატონი ბენიას ლექსები წაიკითხეს. ქალბატონმა ირმამ მათ იუბილარის ლექსზე კომპოზიტორ ნანული ბერაძის

დაწერილი ''ქართველთა მარში'' გადასცა მომავალში შესასრულებლად. ისევ მის ლექსებზე შექმნილი სიმღერებით გაანებივრა იუბილარი მეგობარი ყველასთვის ცნობილმა ქირურგმა თემურ ძიძიგურმა.

პატრიოტული ლექსით დამუხტა დარბაზი ტყიბულელმა სტუმარმა, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის წევრმა თემურ კუბლაშვილმა. ის, ცოტა ხნის წინ, ხონში გამართულ იუმორის ფესტივალზე საუკეთესო არტისტიზმისთვის გამარჯვებული გახდა.

პოეზიის მადლი გადაედო მსმენელს, როცა ბატონი ბენია თხილავას ლექსებს მსახიობი თეა გეგეჭკორი მხატვრულად კითხულობდა.

სცენაზე პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტექნიკური კავშირებული ისეთი კურსის ჩამოყალიბება უნივერსიტეტში, როგორიცაა ენერგეტიკის მექანიკური ამოცანები. არ მსმენია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ცალკე კურსად იკითხებოდეს''. ბატონმა ომარმა ისიც გაიხსენა, საქართველოსათვის გაუსაძლის პერიოდში, იმერეთის ელექტროკომპანიის გენერალურ დირექტორად რომ დანიშნეს. მან მოადგილეობა ბატონ ბენიას შესთავაზა. ''ის იყო ადამიანი, ვინც დამეხმარებოდა, ყველაფერს აბალანსებდა. უდიდესი წვლილი მიუძღვის იმ წარმატებებში, რომელიც კომპანიამ მოიპოვა. ძალიან განვითარებული ადამიანია, რაც აქ ითქვა, ზღვაში წვეთია''. _ დასძინა მან.

კომპოზიტორმა ვასილ კოკელაძემ მის მიერ ბატონ ბენიას ლექსზე დაწერილი სიმღერა შესთავაზა მსმენელს, რომელიც რადიო ''არ დაიდარდში'' რამდენჯერმე გაჟღერდა.

ორიგინალური იყო 92 წლის ''ჭაბუკის'', როგორც მას ირმა ქურასბედინმა უწოდა, გივი თოდაძის სცენაზე გამოჩენა. ქართული არქიტექტურის რაინდი, ღირსების ორდენის ორგზის მფლობელი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე საზოგადოება ''ბაღისკიდისა'' და საზოგადოება ''ქუთაისელის'' წევრი გულთბილად მიესალმა 80 წლის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულ მეგობარს და საჩუქრად მის მიერ დასურათებული გალაკტიონის ლექსების კრებული გადასცა. იუბილარს მიესალმა ალექსანდრე შენგელია, დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ''კაკაბეთის ზარების'' ავტორი. ცნობილი კრიტიკოსის და მწერლის, სიმონ არველაძის გულითადი მილოცვა გადასცა იუბილარს მისმა ქალიშვილმა მეგი არველაძემ.

''საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი! _ ეს არის თქვენი დევიზი.'' _ ასე შეუფასა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბატონ ბენიას აფხაზეთის ჟიული შარტავას სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ორი პოეტური კრებულის ავტორმა ნათელა გოგიავამ.

ერისკაცი უწოდა ქვეყნისთვის დამშვრალ მამულიშვილს ყოფილმა სტუდენტმა, პროფესორმა გიორგი ამირანაშვილმა, თბილი სიტყვები არც საზოგადოებრივი დარბაზის, ''ღირსების'', წევრმა ზაზა სულაძემ და წყალტუბოს გაზეთ ''წყალტუბოს'' რედაქტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ზურაბ კანკაძემ დაიშურეს. თქვენს გარეშე ღონისძიება ვერ ჩაივლისო და სცენაზე ქალბატონმა ირმამ ცნობილ მომღერალს მურმან შათირიშვილს უხმო.

აკადემიკოს როლანდ კოპალიანისა და ბატონ ბენია თხილავას ურთიერთობა 90-იანი წლებიდან იწყება, მას შემდეგ, რაც აფხაზეთიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ დევნილები. სოხუმის სუბტროპიკული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ამჯერად ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს მოღვაწეობას. ''ბატონი ბენია ის ადამიანია, რომელმაც ჩვენი ჩამოსვლისთანავე ყველასთან დაამყარა კომუნიკაცია. ეს ურთიერთობა გრძელდება. ნაკლებად მახსენდება ადამიანი ქუთაისში, იმერეთში, რომელიც ასე თბილად და კეთილად ყოფილიყო განწყობილი საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ. ნებისმიერი პრობლემა, ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხებოდა, თუ არ ეხებოდა მას, ყველაფერში მონაწილეობდა. აქტიურად ეძებდა გზებს მათ დასარეგულირებლად. ის არის თავისი საქმის პროფესიონალი, ქუთაისსა და თავის ქვეყანაზე შეყვარებული. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩვენი კოლექტივის, დევნილი მოსახლეობის სახელით მივულოცო მას ეს დღე. იყოს ჯანმრთელად და კარგად''. _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბატონმა როლანდ კოპალიანმა. მან სცენიდანაც ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ბატონ ბენიას.

იმ საოცრად ლამაზი დღის განწყობა ქალბატონმა გულნაზი კუბლაშვილმა, იუბილარის მეუღლემაც გაგვიზიარა. ქალბატონმა, რომლის სახელიც არაერთხელ გაჟღერდა დარბაზში იმ თანადგომისა და ერთგულების გამო, რომელსაც თავისი მეუღლის მიმართ იჩენს. ქალბატონ გულნაზისა და ბატონ ბენიას ორი ვაჟი, ბესიკი და თენგიზი და ორი შვილიშვილი, ბექა და მათე ჰყავთ.

თქვენს გარეშე ცხოვრება არაფერი იქნებოდა! _ მიმართა დასასრულს დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ბატონმა ბენია თხილავამ. მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, ქუთაისის მერიას და მერს, გიორგი ჭიღვარიას. მერიის კულტურის სამსახურის თანამშრომელს, თამთა თურმანიძეს, გენადი კუჭუხიძეს, საზოგადოება ''ბაღისკიდეს'', საზოგადოება ''ღირსებას''.

''ქუთაისი ხომ ძალიან მიყვარს, მაგრამ ღანირი ჩემთვის სამოთხედ რჩება.'' _ გვითხრა მან. მადლიერება გამოხატა ''სამტრედიის მაცნეს'' მიმართ, იუბილეზე რომ ვეწვიეთ და დაგვაბარა: ''გადაეცით ჩემს სამტრედიას ჩემი ერთგულება, სითბო და სიყვარული!''

საღამო დასრულდა, მაგრამ ემოციები დიდხანს გაგვყვა, და სურვილიც _ ძველებურად შემართებით ელვაწოს ჩვენს თანამემამულეს, ბატონ ბენია თხილავას, ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ფოტო ისტორიას ჰყვება

ახსოვთ თაობებს, გვახსოვს ჩვენც დიდ ჯიხაიშში ნიკოლაძეების მამულში გამართული სახალხო დღესასწაული ''ნიკოობა'', ერთი სოფლის, რაიონის მასშტაბებს რომ სცილდებოდა ხოლმე.

ამ ორ ფოტოს 4 ათეული წლის ისტორია აქვს. პირველზე (მარჯვნიდან) ლევან ჩხეიძე, თინა ჭილაძე, ჯულიეტა გოგავა, ანზორ გრიგოლია, ვალერიანე ბიბილეიშვილი და სხვები არიან აღბეჭდილნი ''ნიკოობის'' დღესასწაულზე, სახლ-მუზეუმის ეზოში.

მეორეზე კი, უხუცესთა ანსამბლ ''სანავარდოს'' წევრები, ასრულებენ სიმღერას (ანსამბლი 40 წლის წინ, 1978 წელს დაარსდა. ლ.გ.).

ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას, მიერაა ეს ფოტოები გადაღებული გასული საუკუნის 80-იან წლებში.

ლევან გაბეჩავა

ხვალ რომ უნდა ჩაიბარონ ჩვენი და მათი მომავალი

თეა ბაბუნაშვილი

მათი სიმრავლე ეიმედება ქვეყანას, რამეთუ მათ ხელშია მისი მომავალი. ისინი წარჩინებულები არიან, წარჩინებულები სწავლაში, რაც დიდი შრომით მიიღწევა. იციან, სწავლის ძირი მწარე რომ არის და კენწეროში გატკბილების იმედით წიგნთან ათენებენ ლამეებს. განათლების თანამედროვე რეფორმა და მასთან დაკავშირებული საკითხები რამდენად ამართლებს ასეთ დასაწყისს, სხვა თემა ნამდვილად არაა, მაგრამ სწავლაში ბეჯითობაზე საუბარი მაინც ასე უნდა დაიწყო ალბათ. და მით უფრო მაშინ, წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოვებას რომ ეხება საქმე. ეროვნულ და საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილი წარჩინებულებისა და მედალოსნების რიცხვის გათვალისწინებით, რამდენად აკმაყოფილებს დღევანდელი წარჩინებული მოსწავლე წარჩინების "ნორმატივებს", დამაფიქრებელია. როგორც გვჩვევია ხოლმე, ემოციებით ვსაუბრობთ მომავალი თაობის განათლების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, საქმე კი ნაკლებად _ ხან რა სისტემას ვაბრალებთ საკითხის მოუგვარებლობას და ხან რა პრობლემას ვუდებთ სარჩულად მის გაუმართაობას.

თუმცა, ამჯერადაც კიდევ ერთხელ გვერდზე უნდა გადავდოთ ამგვარი საუბრები, მით უმეტეს, რომ ამ წერილით მოგვარების შანსი არ აქვს პრობლემას! და იმაზე ვისაუბროთ, რა გახდა სამტრედიელი მოსწავლეების ქუთაისში სტუმრობის მიზეზი.

მიზეზი კი საამაყოდ გასახარი იყო. 99 სამტრედიელი წარჩინებული მოსწავლე, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლიდან "ლენოვოს" ფირმის ნოუთბუქებით დაჯილდოვდა.

შეხვედრა უძველეს, დიდი ტრადიციების მქონე ქუთაისის №1 სკოლა-გიმნაზიაში გაიმართა, ანუ იქ, სადაც არაერთ წარჩინებულ ქართველს მიუღია განათლება. ქუთაისის შემდეგ სამტრედიამ და ზესტაფონმა გაინაწილეს მეორე ადგილი წარჩინებულთა რაოდენობით. ქუთაისს 170 ასეთი მოსწავლე ჰყავდა, სამტრედია-ზესტაფონს კი 99-99.

ქუთაისის რესურსცენტრის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენელი ლელე სვიმონია და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ესწრებოდნენ, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად კადეტთა სკოლის მოსწავლეებიც დაჯილდოვდნენ. სამტრედიელებს წარჩინებულის ამპლუაში ბუბა ჯულაყიძის გვარ-სახელის გაგონება განსაკუთრებით გაუხარდათ. იგი მე-11 საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე გახლავთ, მე-9 კლასიდან კი კადეტთა სკოლაში გააგრძელა სწავლა.

"თქვენი წარმატებები განსაკუთრებით საიმედოა ჩვენთვის, რადგან ხვალ თქვენ უნდა მართოთ ქვეყანა, თქვენ უნდა ჩაიბაროთ ჩვენი და თქვენი მომავალი." _ მიმართა წარჩინებულებს გრიგოლ დალაქიშვილმა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს ამ წარმატებაში მათი წვლილისათვის და განსაკუთრებით მიესალმა ყველა სამტრედიელ მოსწავლეს, იმ დღის გმირები რომ გახლდნენ. მან დაჯილდოვებაში მიიღო მონაწილეობა და სამახსოვრო სურათებიც მრავლად გადაიღო წარჩინებულებთან საკუთარი მუნიციპალიტეტიდან.

პროგრამით "ჩემი პირველი კომპიუტერი", რომელიც საქართველოში 2009 წლიდან ხორციელდება, არაერთი მოსწავლეა დაჯილდოვებული. იგი იმ მოსწავლეების წახალისებას გულისხმობს, საბაზისო საფეხურის, ანუ ზედიზედ სამი წლის _ მე-7, მე-8, მე-9 კლასების დასრულების შემდეგ შეფასებად ყველა საგანში დაუმრგვალებელი 10-იანი რომ დაიმსახურეს. 2018 წელს საქართველოს მასშტაბით 2978 ასეთი მოსწავლე დაჯილდოვდება. იმერეთში პორტატული კომპიუტერი 571 წარჩინებულისთვის გამოიგზავნა.

ნაბაკეველი პატარები თავიანთ ძველ, მაგრამ განახლებულ ბაღს დაუბრუნდნენ

ნინო ნანიტაშვილი

ნაბაკევის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ახალი საალმზრდელო წელი 25 სექტემბერს სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში დაიწყეს. ამის მიზეზი ის სარემონტო სამუშაოები იყო, რომელიც ნაბაკევის საბავშვო ბაღის შენობას უტარდებოდა.

1960 წელს აგებული ხის შენობა, რომელიც ულამაზესი ეზოს შუაგულში დგას, კატასტროფულ სიტუაციაში იყო, უფრო მეტიც, საბავშვო დაწესებულება დახურვის საშიშროების წინაშე იდგა, რადგან იგი ვერანაირ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

მუნიციპალიტეტის მერიამ მიზნად დაისახა ნაბაკევში ახალი საბავშვო ბაღი ააშენოს, რომელიც იქნება ტიპური სტანდარტული შენობა. ვინაიდან ამ უკანასკნელს საკმაო დრო სჭირდება, ხოლო ნაბაკეველი პატარები საბავშვო ბაღის გარეშე შეიძლება, დარჩენილიყვნენ, გრიგოლ მიქელაძის დახმარებით გარემონტდა შენობა, მოიგო ლამინირებული იატაკი, გალამაზდა ყველა ოთახი, სამზარეულოში დამონტაჟდა ცხელი წყლის გამათბობელი და ჰაერის გამწოვი, მოწესრიგდა სველი წერტილები. საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა პატარებს ახალი ინვენტარი შეუძინა, მათ შორის პიანინო, დაჰპირდა, რომ მომავალში კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს ნაბაკევის ბაღისთვის.

5 ნოემბერს პატარები დაუბრუნდნენ მშობლიურ სააღმზრდელო დაწესებულებას. იმ დღეს მათთან ერთად ზეიმობდნენ მშობლები, მასწავლებლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ხათუნა გაგუა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გიას ძვირფასი საჩუქრისთვის, რომელიც მან სოფლის პატარებს გაუკეთა. ასევე მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას. ვიცი, რომ მალე ნაბაკეველ პატარებს ახალი შენობა ექნებათ, სადაც დაკმაყოფილებული იქნება მშობლების, მათი შვილების ყველა ის მოთხოვნა, რაც ტიპურ საბავშვო ბაღებს გააჩნიათ, ბაღი, რომელსაც ექნება ნათელი ოთახები, საძინებლები და შიდა სველი წერტილები".

ლექსით მოღელავს გალაკტიონი

შეუფასებელია ჯერაც გალაკტიონ ტაბიძე და მისი შემოქმედება. მოვარდნილ გრიგალს ჰგავდა მისი მოსვლა ქართულ სასიტყვეთში.

ლექსები,
პოემები,
წერილები...

გალასეული, ძარღვიანი და მჭექარე, უბრალო და ფაქიზი...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივნის, სერგი დურმიშიძის, მოგონებებს შევთავაზებთ ამჯერად მკითხველს წიგნიდან "ცოტა რამ წარსულიდან", გალაკტიონთან მის ურთიერთობას რომ ასახავს და შესანიშნავად წარმოაჩენს გენიალური პოეტის ადამიანურ თვისებებს, მის უბრალოებას, სიდიადეს.

...

მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, თბილისში ტრამვაიში გალაკტიონი ამოვიდა. რამდენიმე გაჩერების შემდეგ მგზავრებში ჩოჩქოლი შეიქნა, ორ შუახნის კაცს პირდაპირ ჩასასვლელში ღრმად ჩასძინებოდათ და გზა ჩაეკეტათ.

"ძალიან გთხოვთ, ნუ გააღვიძებთ, დავაცადოთ დასვენება, მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ვინ იცის, ისინი ყოველდღე რამდენ საათს მუშაობენ. ჩავიდეთ იქიდან, საიდანაც ამოვედით. მეც თქვენთან ერთად ჩამოვალ. გალაკტიონს ყველა უხმოდ დაემორჩილა, მგზავრები ვაგონის უკანა მხრიდან ჩავიდნენ.

...

1955 წელს წყნეთში ვისვენებდი, ბინა გალაკტიონის აგარაკის ახლოს მქონდა. ერთხელ, პოეტის ეზოსთან ხალხი მოგროვდა. ვიღაც ქალი ტიროდა: ჩემი შვილი დილით ტყეში შევიდა, შუადღის ორი საათია და ჯერაც არ დაბრუნებულა, როგორღა მოვძებნოო.

გალაკტიონმა ბავშვის დედას მიმართა: "ჩემო დაიკო, დავაცადოთ პატარა არჩილს მარტოობა, მივცეთ თავისუფლება, იგრძნოს ტყის მშვენიერება, ნუ წავართმევთ საუკეთესო საათებს".

მოხდა უჩვეულო რამ: დედა დამშვიდდა და პოეტს დაჰპირდა, რომ ბავშვს შინ დაელოდებოდა.

...

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების შემდეგ, აკადემიის პრეზიდენტმა ნიკო მუსხელიშვილმა თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია, გალაკტიონთან სურათი გადავიღოთ. აკადემიის პრეზიდენტთან შეიკრიბნენ გალაკტიონ ტაბიძე, ივანე ბერიტაშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, რაფიელ მგელაძე, პეტრე ქომეთიანი და ამ სტრიქონების ავტორი. იგონებს ს. დურმიშიძე, ფოტოკორესპონდენტმა თავისი საქმე მოათავა, ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა მოგვმართა: "ჩვენ ახლა გალაკტიონთან სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთ".

გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და გვითხრა: "ძამიკოებო, ხომ დამემოწმებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდება?"

მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი
არ გაიარე _ რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

1915 წ.

ი.ა.

ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით _ მიმოზებით.
და მწუხარების, მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.
შეშლილი სახით კოდა ქუჩა,
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.

1915 წ.

შენ ალტაცებით ისევ ენთები

შენ ალტაცებით ისევ ენთები,
ძველი ტაძრები ისევ შენდება,
ეფემერიდებს გამოენთები
და სადმე მაინც გაგითენდება.
მთები ჩანს, როგორც გიგანტი გრდემლი,'
ჩქარი მდინარის რბიან ზვირთები,
მოგენატრება ბავშვური ცრემლი,
ეცდები, მაგრამ ვერ ატირდები.

1927 წ.

მარად ჩვენი თანამედროვეა გალაკტიონი.

ლევან გაბეჩავა

ფერების ტრადიციული ფესტივალი სამტრედიაში

სამტრედიის "მომავლის პარკი" წლევანდელი ფერების ფესტივალს ახალი და ლამაზი საბავშვო ატრაქციონით შეხვდა. ძველის დემონტაჟი მოხდა და მის ადგილას ახალი ატრაქციონი დამონტაჟდა. ფერების ფესტივალმა ტრადიციულად მიიზიდა სხვადასხვა ასაკის ბავშვები. ეს ფესტივალი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტ "chek IN GORJIA"-ს ფარგლებში გაიმართა. მისი მხარდამჭერი იყო ასევე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, მხიარულ სანახაობას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნაიდა ნაცვლიშვილი

მე-9 ბაღის "შემოდგომა 2018" ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში

ნინო ნანიტაშვილი

მე-9 ბაღმა ერთი დღე ნიკო ნიკოლაძის მამულში გაატარა. 4 ნოემბერს სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია თავის აღსაზრდელებთან ერთად დიდ ჯიხაიშში გაემგზავრა, რათა საშემოდგომო ღონისძიების ჩატარების ახალი მეთოდი გამოეყენებინა. მკითხველს შევახსენებთ, რომ საბავშვო ბაღების მეთოდისტებმა სულ ახლახან გაიარეს მოდულ-ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა აღსაზრდელებისა და მათი მშობლების ერთობლივ მონაწილეობას ამა თუ იმ აქტივობაში. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა მე-9 ბაღის ხელმძღვანელობამ, 5-6 წლიანმა ჯგუფის საშემოდგომო ზეიმი ბუნებაში გაემართა.

სიახლე პრაქტიკაში გამოეყენებინათ, სიამოვნებით აიტაცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ და რაც მთავარია, პროექტმა მშობლების მხარდაჭერა მოიპოვა.

4 ნოემბერს დილის 12 საათზე ულამაზესი პატარებით სავსე მიკროავტობუსი დიდი ჯიხაიშისაკენ გაემართა. სადღესასწაულო განწყობა გზაში კიდევ უფრო ამაღლდა. მე-9 ბაღის აღსაზრდელებს გულები უჩვეულო სიხარულით უცემდათ, რადგან მათი შეხება ბუნებასთან გაოცებასთან ერთად აღტაცებას იწვევდა.

ნიკო ნიკოლაძის მამულში გიგანტური ხეები გასაოცარ სანახაობას უქმნიდა პატარებს. თითქოს ბუნებამ თავი იგრძნო ვალდებულად, წინა დღეებში დაფიქსირებული ძლიერი ქარი დაემშვიდებინა, რათა პატარებს ბუნების სიდიადე უფრო შთამბეჭდავად შეეგრძნოთ.

მუზეუმის ეზოში მე-9 ბაღელებს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის მთავარი დიასახლისი, ქალბატონი ლია ბიბილეიშვილი დახვდათ. მუზეუმის თანამშრომელმა, გულიკო ზარბაზოიამ მოკლედ, პატარებს მათთვის გასაგებ ენაზე მოუთხრო ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის შესახებ.

მე-9 ბაღელებმა სასწრაფოდ დაიჭერეს ეზოში, ღია ცის ქვეშ გამართული დიდი სცენა, რომელიც აღმზრდელებმა და მშობლებმა პატარების ჩართულობით საშემოდგომო ატრიბუტებით მორთეს.

ზეიმი გახსნა 5-6 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელმა ხათუნა შენგელიამ სთხოვა პატარებს, წინა დღეებში გუნდურად შესწავლილი რამდენიმე სიმღერა შეესრულებინათ. თემატიკა, რა თქმა უნდა, შემოდგომა იყო.

მშობელთა ჩართულობით გაიმართა იმიტაცია _ კაკლის ბერტყვა, სიმინდის ტეხვა, ყურძნის კრეფა. ამოავლეს ჩურჩხელები. ბოლოს ყველამ ერთად ლამაზი სიმღერით შემოდგომა გააცილა.

მე-9 ბაღის მმართველმა, ნანა უგულავამ პატარებსა და მათ მშობლებს მადლობა გადაუხადა განსაკუთრებულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობისათვის და ისურვა, მათი სააღმზრდელო დაწესებულება მომავალშიც გამოირჩეოდეს ასეთი ნოვაციებით: "მადლობა მინდა, ასევე გადავუხადო მთელ ჩემს გუნდს. 5-6 წლიანთა ჯგუფში მომუშავე პერსონალს, მუსიკის მასწავლებელს, ქეთევან რამიშვილს და მეთოდისტს, ქალბატონ მანანა გოდუაძეს. მადლობა დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ლია ბიბილეიშვილს და მთელ მის კოლექტივს გულთბილი მასპინძლობისათვის".

გიორგი ნიკოლაძის საიუბილეოდ

ლევან გაბეჩავა

ფასდაუდებელია წვლილი, რომელიც ქართველი ერისა და გნებავთ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მიუძღვით დიდ ერისკაცს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძესა და მისი ოჯახის თითოეულ წევრს.

საიუბილეოა მიმდინარე წელი. 175 წლისა გახდა ნიკო ნიკოლაძე, 130 წელი შესრულდა გიორგი ნიკოლაძის დაბადებიდან.

სწორედ გიორგი ნიკოლაძის, ამ მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებული კაცის იუბილეს მიეძღვნა მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებული ლამაზი ღონისძიება, რომლის მხარდამჭერიც მუნიციპალიტეტის მერია გახლდათ.

ღონისძიება 31 ოქტომბერს ნიკოლაძეების მამულში ჩატარდა.

საამოდ აცხუნებდა გვიანი შემოდგომის მზე და საუკუნოვან ხეთა ჩრდილსაც კი გვაძებნინებდა იქ შეკრებილთ.

ვიდრე მუზეუმის ეზოში შევიდოდით, სპორტული გარბენი უკვე დაწყებულიყო და დიდი ჯიხაიშის ქუჩებიც ახალგაზრდებით იყო სავსე.

დათქმულ დროზე დაიწყო ღონისძიება. მასში სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ზედმიწევნითი სიზუსტით ისაუბრეს გამომსვლელებმა, ღონისძიების მონაწილეებმა გიორგი ნიკოლაძის ნიჭის მრავალმხრივობაზე, მეტალურგი, სპორტსმენი, მათემატიკოსი... გაიხსენეს მისი ბავშვობის, მოსწავლეობისა და სტუდენტობის, მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები, რუსულად წაიკითხეს ის ლექსები, რუსეთში ყოფნისას რომ წერდა რუსულადვე დიდი მამულიშვილი.

ნორჩი ტანმოვარჯიშეების გამოსვლამ მეტი შნო და ელფერი, დატვირთვა შესძინა ღონისძიებას.

გიორგი ნიკოლაძეც ხომ უდიდესი ტანმოვარჯიშე და სპორტის ამ ლამაზი სახეობის პოპულარიზატორი იყო.

_ კარგი ღონისძიებაა, გიორგი ნიკოლაძე, მართლაც, მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მან გაცილებით ბევრი გაკეთა, ვიდრე ერთ კაცს, ერთ ადამიანს შეუძლია გაკეთოს ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, სათანადოდ არაა შესწავლილი მისი ღვაწლი, სტუდენტობისას იგი რუსულად წერდა შესანიშნავ ლექსებს, სიმბოლურია მის მამულში ამ ღონისძიების გამართვა. _ ასეთი კომენტარი გაკეთა "სამტრედიის მაცნესთან" სოფლის მკვიდრმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ისტორიკოსმა, ბატონმა ზურაბ ფანცულაიამ.

სამტრედიელ მოსწავლეებს, ორგანიზატორებს სამადლობელით ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ლია ბიბილეიშვილმაც მიმართა და მსგავსი შეხვედრების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მას შემდეგ, რაც ამ დღეს გამართულ სპორტულ აქტივობაში გამარჯვებულებს მერიის სახელით საჩუქრები გადასცა, კომენტარი გაკეთა მედიისათვის და აღნიშნა, რომ ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ღვაწლსა და ამაგს გაცილებით მეტი აღიარება, დაფასება უნდა, მერმა მადლობა გადაუხადა კულტურისა და განათლების სამსახურს, მის ხელმძღვანელს ნატალია მანჯგალაძეს, სამსახურის სპეციალისტს, ნათია გოგოძეს, ღონისძიებაში მონაწილეებს, დამსწრეთ ამ დღით დაინტერესებისათვის, გიორგი ნიკოლაძის ხსოვნისადმი პატივისცემისთვის.

აუცილებელია ითქვას, რომ ღონისძიება, მართლაც, დროული და უაღრესად საჭირო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ახალგაზრდები უფრო ვრცლად, ყოვლისმომცველელად იყვნენ ინფორმირებულები იმ მუხლჩაუდგამი და მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ, მამა-შვილმა, ნიკო და გიორგი ნიკოლაძეებმა რომ გასწიეს ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ, დაწინაურებისათვის.

ვიმედოვნებთ, საჯარო სკოლებიც ლამაზი ღონისძიებებით აღნიშნავენ გიორგი და ნიკო ნიკოლაძეების იუბილეებს.

ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკის ისტორიიდან...

ანტიკური ხანის ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ადამიანის როგორც გენიალურობისა, ასევე მისი უსაზღვრო უგუნურებისა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტია, რომ კაცობრიობას ეყო სიბრძნე, ამ უნიკალურ ბიბლიოთეკაში ერთ ადგილზე მოეყარა თავი მთელი თავისი ცოდნისათვის, რაც კი სამყაროს შესახებ იმ პერიოდისათვის იყო მისთვის ცნობილი, რათა შემდგომში საკუთარი ხელითვე პირწმინდად მოესრა და გაენადგურებინა იგი. ათწლეულების განმავლობაში იქ მოღვაწეობდნენ ანტიკური ეპოქის ბუმბერაზი სწავლულები. მათ შორის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მცველი (ხელმძღვანელი), გენიალური ძველი ბერძენი ასტრონომი და მათემატიკოსი _ ერატოსთენე კირენელი (ძვ.წ.აღ.-ით 276-194 წლები), რომელმაც პირველმა გაზომა დედამიწის მერიდიანის სიგრძე და რომელმაც ჯერ კიდევ კოსმოსური თანამგზავრის გამოგონებამდე საუკუნეებით ადრე დაადგინა ჩვენი პლანეტის ფორმა; იქვე პირველმა კოსმოლოგებმა პირველად შექმნეს პირველი გლობუსები; სწორედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოღვაწეობის ჟამს დაადგინა მანძილი მთვარემდე დიდმა ძველ ბერძენმა, მეცნიერმა და ასტრონომიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჰიპარქე ნიკეელმა (ძვ.წ.აღ.-ით 180-125 წლები), რომელმაც გარდა ამისა, შექმნა ასტროლაბი და 850 ვარსკვლავის კატალოგიც შეადგინა; იქ დაიწერა სამ ტომად პირველად მსოფლიოს სრული ისტორია; სწორედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან ამცნო კაცობრიობას გენიალურმა ალექსანდრიელმა მათემატიკოსმა და ჩვენამდე მოღწეული პირველი მათემატიკური თეორიის ავტორმა ევკლიდემ (ძვ.წ.აღ.-ით 325-265 წლები) გეომეტრიის საწყისები; ანტიკური ხანის უდიდესმა ალექსანდრიელმა გრამატიკოსმა და მეცნიერული ლექსიკოგრაფიის ფუძემდებელმა არისტოფანე ბიზანტიელმა (ძვ.წ.აღ.-ით 257-180 წლები) ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის დროს დიდი განსაკუთრებული წვლილი ჰომეროსის პოემების ფილოლოგიურ შესწავლაში და დაწერა "ალექსანდრიული კანონი", ამ დიდებული ბიბლიოთეკის თაროებზე იყო დაბინავებული გენიალური ძველი ბერძენი ასტრონომისა და ფილოსოფოსის _ არისტარქე სამოსელის (ძვ.წ.აღ-ით 310-230 წლები) ის ნაშრომი, რომელიც კაცთა მოდგმას ამცნობდა, რომ დედამიწა ერთ-ერთი პლანეტა იყო და ისიც სხვა პლანეტების მსგავსად ბრუნავდა მზის გარშემო...

მეცნიერები ირწმუნებიან, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაცული ნაშრომებიდან, თუნდაც, ათ პროცენტს მაინც რომ მიეღწია დღევანდელ დღემდე, არა მხოლოდ პროგრესულად გაცილებით წინ ვიქნებოდით, არამედ სამყაროც კი სულს სხვა იქნებოდა. მაგრამ ხალხებს შორის გამართულმა რელიგიურმა და პოლიტიკურმა ბრძოლებმა ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ნანგრევებად ქცეული ნაშთებიღა შემოგვინახა. დრო უმოწყალოდ არბევს უბალავროდ ნაგებ ბურჯებს. იმსხვრევიან შიშის კვარცხლბეკზე წამომართული უსულო კერპები. სამუდამო დავიწყების ან მარადის წყვლის ბურუსში ინთქმება ყველაფერი, რაც კი ადამიანის სულიერი სამკვიდრებლის გასათელად ამხედრებულა, მაგრამ არა _ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა.

Genia.Ge



გარეული სამხრეთ აფრიკული ფიკუსი

ბოტანიკოსთა მიერ მოპოვებულ მონაცემებს თუ გავეცნობით, დავადგენთ, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველა გვარის მცენარეთა შორის მიწაში ყველაზე ღრმად ფესვების გადგმის უნარით "გარეულ ლელვად" წოდებული თუთისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარე _ გარეული სამხრეთაფრიკული ფიკუსი" გამოირჩევა. ამის დასტურია სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კი, ოხრიგსტადის სიახლოვეს არსებულ მღვიმეებთან მზარდი "გარეული სამხრეთაფრიკული ფიკუსის" ერთ-ერთი ეგზემპლარი, რომლის ფესვები მიწაში 122 მეტრ სიღრმემდეა გადგმული. ნიშანდობლივია ის გარემოც, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მცენარე მიიჩნევა მიწაში ყველაზე ღრმად ფესვგადგმულ მცენარედაც დედამიწაზე.

Genia.ge

ატლანტიკის ოკეანის ერთი უცნაური ფენომენი

რამდენიმე ხნის წინ ოკეანოგრაფებმა, მათდა გასაკვირად, ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე, კერძოდ კი, ოკეანის იმ რეგიონში, სადაც ჰიდროთერმული წყაროების გამოისობით განსაკუთრებით მაღალია წყლის ტემპერატურა, აღმოაჩინეს კრევეტებად წოდებული ზღვის პატარა კიბოების ცოცხალი ეგზემპლარები. გარდა ზღვის პატარა კიბოებისა, ოკეანოგრაფებმა ატლანტის ოკეანის ფსკერზე არსებული ჰიდროთერმული წყაროების აკვატორიაში ასევე აღმოაჩინეს კრევეტების გვერდით მობინადრე მოლუსკები, გიგანტური ჭიები და ბაქტერიები. საკვირველი და უცნაური ფენომენია, თუმცა ფაქტია, რომ მაშინ, როდესაც ხმელეთზე ამ არსებების დიდი ნაწილი +40 გრადუს-ცელსიუს ტემპერატურაზე კი იღუპება, წყალქვეშ, ანუ ატლანტის ოკეანის ფსკერზე, ისინი უძლებენ +407 გრადუს-ცელსიუს ტემპერატურას (ცნობისათვის, ბაქტერიები +70 გრადუს-ცელსიუსზე იღუპებიან).

Genia.ge

გმადლობთ, რომ არსებობდით!

მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება



კიდევ ერთი ღირსეული სამტრედიელი გავაცილეთ ამ დღეებში უკანასკნელ გზაზე. თვალსაჩინო ექიმი და უბრალოებით, კაცურ-კაცობით გამორჩეული ქართველი კაცი.

უკვე მარადისობის ბინადარია ღირსეული მშობლების ღირსეული შვილი, ერთგული მეუღლის ერთგული თანამეცხედრე, სახელოვანი შვილებისა და შვილიშვილების უსაყვარლესი მამა და ბაბუა, დიდი ბაბუა ბატონი ვაჟა ტერელაძე.

ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებდა კეთილ საქმეებს და არასოდეს ცდილობდა საკუთარი პერსონის აფიშირებას. ტერელაძეების ოჯახის თითოეულმა წევრმა ღირსეული სიტყვა თქვა ჩვენი პატარა ქალაქის სახელოვან ისტორიაში და სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

11 ნოემბერი. ამინდიც ისეთევე მშვიდია, როგორიც ბატონი ვაჟა იყო. ტერელაძეების ოჯახში გლოვაა, საყვარელ ადამიანს ეთხოვება ოჯახი, ახლობლები. გლოვობდა ჩვენი პატარა ქალაქი კიდევ ერთი კოლორიტის გარდაცვალებას.

არავითარი სიტყვა, გამოსვლები, არავითარი პომპეზურობა, ასე დაუბარებია. ცრემლი კი, ცრემლი ბევრი გაიყოლა სულეთში მიმავალმა.

მზე გადაიხარა. ''ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა...''

სათანადო ადგილს მიუჩენს მემატიანე ბატონი ვაჟას გვარ-სახელს, არსთა გამრიგე კი ნათელში დაავანებს მის სპეტაკ სულს.

გულისტკივილით ვეთხოვებით ჩვენი რაიონის კოლორიტ პიროვნებას.

მშვიდობით ბატონო ვაჟა!

ლევან გაბეჩავა

მეუღლე ნათელა გელეიშვილი, შვილები სოფიკო და ირინე, სიძეები გური ლომინაძე, თორნიკე სანიკიძე და ნუგზარ სიხარულიძე, რძლები მედეა თავაძე, ქეთევან ჯავახიშვილი და სალომე მანჯგალაძე, შვილიშვილები მარი, ნინი და თაზო, შვილთაშვილები ნიკოლოზი და საბა, დისშვილები თეა თევზაძე და მიხეილ რუხაძე, დისშვილიშვილები გია მეძმარიაშვილი, მიშიკო, თეა, გოგა და ლევან რუხაძეები, ნინო და სალომე სიხარულიძეები, მზახალი მაყვალა მენაბდე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა (თაზიკ) შალვას ძე ტერელაძე.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული სამტრედიელი, ბატონი

ვაჟა ტერელაძე

და თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს.

ოთარ სტურუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული სამტრედიელის, კეთილშობილი პიროვნების, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ტერელაძეების ოჯახს.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა გელეიშვილს, სოფიკო და ირინე ტერელაძეების ოჯახებს, მეუღლის, მამის, ბაბუის და დიდი ბაბუის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

მაყვალა ჩირგაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული პიროვნების, შესანიშნავი მოქალაქის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს.

მერაბ არჩვაძე ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

თეა ბაბუნაშვილი და ამირან პაპავა თანაუგრძნობენ ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ეთუნა არველაძე და ზაურ ჯანელიძე თანაუგრძნობენ ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილს მეუღლის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ქეთევან და მარინა გაჩეჩილაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ტერელაძეებს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან, თამაზ და მამუკა ახობაძეები მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო და გულისტკივილით თანაუგრძნობენ ტერელაძეების ოჯახს.

გულიკო გოგიტიძე და ბაჩანა ჩაბრაძე გულისტკივილით თანაუგრძნობენ ნათელა გელეიშვილს, სოფიკო და ირინე ტერელაძეებს მეუღლისა და მამის

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა გელეიშვილს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილს მეუღლის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილს მეუღლის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ლამარა დუნდუა და ფიქრია ნინუა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

კიდევ ერთი ღირსეული სამტრედიელი და უგანათლებულესი ექიმი დააკლდა ჩვენს რაიონს.

ბატონი **ვაჟა ტერელაძე** იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა და უბრალოდ, ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას!

თამაზ ჟორდანია

''სახლი თანადგომა'' თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ნათელა გელეიშვილს მეუღლის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

კარლო კალაძე ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

''ლოკომოტივის'' სტადიონის თანამშრომლები და ვეტერანი ფეხბურთელები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ნათელას მეუღლის

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის ბრიჯის ფედერაციის წევრები და უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფედერაციის პრეზიდენტის, ღირსეული ქართველის, ღვაწლმოსილი ექიმის, სამტრედიის კოლორიტის, ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიგანტი ბიბილეიშვილი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ზოია ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ბორია ფოცხვერაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

თამაზ მიქაძე ოჯახით თანაუგრძნობს ტერელაძეების ოჯახს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

ნატალია კვანტალიანი თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა გელეიშვილს ბატონი

ვაჟა ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

დეკანოზი ათანასე (რუხაძე) გახსენება

ძალიან გვიმძიმს და გვიძნელდება თქვენზე წარსულში საუბარი. სხვისი ჭირისა და მწუხარების გამზიარებელი ნაადრევად, 36 წლის ასაკში შეუერთდი ზეციურ სამეფოს.

ბევრი კეთილი საქმის აღსრულება გეწადა, ოჯახურ საქმეებს შერწყმულად უთავსებდი ტაძრის საქმეებს; ახალგაზრდა და ასაკიანი ერთნაირად გიყვარდა, ტაძრის ეზო სიმშვიდეს განიჭებდა.

ბოლო წირვის შემდეგ თავი ისე გეჭირა, შენი ტკივილი არც კი გვაგრძნობინე, ყველას რაღაც სახსოვარი საუბარი დაუტოვე.

ერთგულ მეუღლეს, გმირ დედას _ თამარს და მშობლებს რვა შვილის გასაზრდელად მძიმე ტვირთის ტარება დააკისრე.

სიკვდილის ბოლო წუთამდე ებრძოდი ვერაგ დაავადებას, სახეზე გამოჩენილი ღიმილი გამარჯვების იმედს გვაძლევდა.

მეორმოცე დღეა თქვენს სულს ვესაუბრებით, ვეფერებით და ვესიყვარულებით.

ჩვენო მამაო, გვინდა, რომ შენი რვა შვილისა და მრევლის მიერ დანთებული სანთელი ჩაუქრობლად გინათებდეს გზას სასუფეველში.

მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის მრევლი

რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მუშაკის

ვასილ ხავთასის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს.

მშვიდობით ლია მასწავლებელო!

მე-9 კლასში ვიყავით, როცა კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორმა, ბატონმა აკაკი ჯამბურიამ გეოგრაფიის ახალგაზრდა პედაგოგი, ლია ლეჟავა წარგვიდგინა და დასძინა, ღვაწლმოსილი პედაგოგი თამარ ნინუა დამსახურებულ პენსიაზე გავიდა და, ამიერიდან, ქალბატონი ლია იქნებოდა ჩვენი მასწავლებელი.

ფიზიკურად მომხიბვლელი, საოცრად ფაქიზი და მგრძნობიარე, საგნის ღრმად მცოდნე _ აი, ასეთია მოკლე დახასიათება ლია მასწავლებლისა. მას არ გასჭირვებია, უმოკლეს დროში საერთო ენა მოეძებნა ქართველ და ებრაელ მოსწავლეებთან. ჩვენც მოუთმენლად ველოდით გეოგრაფიის გაკვეთილს, ახალი შტრიხებით, კომპონენტებით რომ გაამდიდრა ახალბედა პედაგოგმა.

სკოლა დავამთავრეთ. მომდევნო წლებში ქალბატონ ლიასთან ყოველი შეხვედრა საოცარ სიამოვნებასა და სიხარულს მგვრიდა.

შესანიშნავი პედაგოგი, ბრწყინვალე ოჯახის დიასახლისი ავადმყოფობამ ნაადრევად ჩამოაშორა საყვარელ საქმეს. მისი მეუღლის, ბატონი მოგელი კუპრეიშვილის მეშვეობით ამ თვე-ნახევრის წინ ვესაუბრე ტელეფონით, ჩვეულებრივი თბილი მოკითხვა, კეთილი სურვილები და ისევ მშობლიური დარიგება _ არა, არა, აუცილებლად უნდა შექმნა ოჯახი, აუცილებლად!

უკანასკნელ გზაზე გააცილეს ამ დღეებში ჩვენი საყვარელი ლია მასწავლებელი ახლობლებმა, კოლეგებმა, აქ დარჩენილებს კი კეთილი მოგონებები დაგვიტოვა.

ნათელში დაავანოს უფალმა თქვენი სული, მშვიდობით ლია მასწავლებელო!

ლევან გაბეჩავა

საზოგადოება ''სამტრედიელი'' თანაუგრძნობს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, მოგელი კუპრეიშვილს, მეუღლის

ლია ლეჟავა-კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს მოგელი კუპრეიშვილს მეუღლის

ლია ლეჟავა-კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ამირან პაპავა ოჯახით თანაუგრძნობს თეა კუპრეიშვილსა და გია მელქაძეს, ნათია კუპრეიშვილს ქალბატონი

ლია ლეჟავა-კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიელმა კარატისტმა გოგონებმა "კავკასიის თასი" მოიგეს

2018 წლის 3-4 ოქტომბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი ''კავკასიის თასი'' კონტაქტურ კარატეში (კიოკუშინკაი კარატე), რომელშიც მონაწილეობდნენ: სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები, სულ 300 სპორტსმენი.

გოგონათა შორის პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მანანა მუქერიამ, ხოლო მარიამ გოგიტაურმა _ მეორე საპრიზო ადგილი. ასევე გუნდური პირველი ადგილი და მთავარი პრიზი ''კავკასიის თასი'' _ საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა.

სენსეი მიხეილ ქანთარია

ვულოცავთ!

ჯონი ნადირაძეს!



სამშობლოს მსახურება ყველაზე დიდი ღირსებაა, და თქვენც ჩვენი ქვეყნის უკეთესობისათვის ჭიდილში განვლეთ წლები. იმუშავეთ, იბრძოლეთ, იმამაცეთ, ღირსეული კაცის სახელი დაიმკვიდრეთ. პატრიოტიზმის, მაღალი ეროვნული თვითშეგნების, ერთგულების, სიკეთის, თავმდაბლობის მაგალითებს იძლევით. სწორედ ამიტომ მოიპოვეთ სამტრედიელების სიყვარული, ნდობა და პატივისცემა.

წლებია, რუდუნებით უძღვებით წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობას, რომელიც ნათლად ირეკლავს თქვენს სულიერებას, ქრისტიანულ განწყობას, თავდადებას.

ჩოხოსნობა საქართველოს ბედთან თანაზიარობაა და თქვენც ეს გზა ერთხელ კიდევ აირჩიეთ, როცა საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებას შეუერთდით.

დაბადების დღეს გილოცავთ მამულიშვილს, მეგობარს, ახლობელს, კარგ მეუღლესა და მამას. მრავალს დასწრებოდეთ!

ვაჟა ფშაველას დავესესხებით და ''არ დაეკარგვის ამაგი, ვინც სამშობლოსა უვლისა''.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშო

ცისანა თევზაძეს!

ჩვენზე ზრუნვაში მოუღლელსა და თმებდათოვლილს, უსაყვარლეს მეუღლეს, დედასა და ბებიას, პატივისცემითა და განუზომელი სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. დიდხანს, დიდხანს არ მოგვკლებოდეს შენეული სითბო, ალერსი, თანადგომა და დიდი იმედი.

იდღეგრძელე!

შენი დიდი ოჯახი

სამტრედიაში რუსთაველის ქუჩის №23/2 გაიხსნა კომპანია ''ფაბერლიკის'' ოფისი. კომპანია გთავაზობთ, მსოფლიოში ცნობილი ჟანგბადის კოსმეტიკას. ასევე, დასაქმებას.

ოფისი მუშაობს ყოველდღე 10 საათიდან 17.00 საათამდე. ტელეფონი: 577 42 55 52.

ბიჭო მიხო, ფეხები დაიბანე, არჩევნები მოდის...
ვახ, დედაკაცო, რა ხშირ-ხშირად მოდის ეს არჩევნები, ჰაა?

სტუდია "ზერმუხა" გთავაზობთ!

პირველად სამტრედიაში,ქორწილების,
საზეიმო ღონისძიებების გადაღებას FUL HD-1920X1080
ფორმატში.პირდაპირი ტრანსლაცია (ლაივი),
FACEBOOK,YOUTUBE-ზე,დარბაზის მონიტორზე.
ჩაწერა ფლეშკაზე და BLU-RAY დისკზე
50 წლიანი გარანტიით.
საკონტაქტო ტელ: 598 78 66 00;
555 18 84 80; 22 40 42.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
მაცნე სამტრედიის
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა